ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 6 დეკემბერი, 2022 №240 (9018) ფასი: 80 თეთრი

გვ.5

ადვოკატი: „მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ თუ სასამართლო სხდომაზე დასწრებას ვერ შეძლებს, დისტანციურად ჩაერთვება“

რატი ბრეგაძე: „სააკაშვილს გარკვეული დიაგნოზები აქვს და შესაბამის მკურნალობას გადის“

გვ.5

„უსინდისობაა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ უკრაინაში ქართველები ნაციონალური მოძრაობისთვის კვდებიან“

გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „თუ სააკაშვილი ცუდადაა და ვერ შველი, უნდა გაუშვა, რად უნდა ამას ამდენი ლაპარაკი. 285-ზე მეტი პატიმარია ასე გაშვებული“



გვ.3

არჩილ ხოფერია: „უბრალოდ, ქვეყნის მმართველს მეტი დაფიქრება მართებს“

„ხელისუფლებას აქტიური სააკაშვილი უფრო აწყობს, რომლისგანაც კვლავ შექმნის საფრთხოხელას“

გვ.3

რამაზ საყვარელიძე: „დიდი ეჭვი მაქვს, სააკაშვილს, როგორც პოლიტიკოსს, სრულიად მიზანმიმართულად ანადგურებენ“

ნიკა გვარამია: „ვისწავლოთ ცხოვრება ამ მთავრობის გარეშე და მათი დღის წესრიგის მიღმა!“

გვ.3



გვ.4

პუტინმა კადიროვს კონტროლიორად „ფსბ“-ს წარმომადგენელი მიუჩინა

ირაკლი ღარიბაშვილი: „სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებს, ჩვენი 33 თანამოქალაქე დაიღუპა ამ ომში, უკრაინაში, რაც ჩვენთვის ტრაგედიაა“

გვ.2

გვ.4

ირაკლი ღარიბაშვილი: „დავიწყებთ ყველაზე პოპულარული საკურორტო ადგილების სრულ რეაბილიტაცია-განახლებას“

3 ლევან საბეიშვილი: „სახელისუფლო გუნდის წევრებს აკრძალული აქვთ სამძიმრის თქმაც“

3 ბრუკლინში საქართველოს მოქალაქე მოკლეს, კიდევ ერთი ქართველი მძიმედ დაჭრილია

6 ორი ქალის გაუპატიურების და მკვლელობის ჩამდენი დამნაშავე 39 წლის შემდეგ დააპატიმრეს

6 აგრესიული გოჭი ალკოჰოლიზმისგან განკურნეს

1993230720223

„უსინდისობაა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ უკრაინაში ქართველები ნაციონალური მოძრაობისთვის კვდებიან“

დავით ზურაბიშვილი: „თუ სააკაშვილი ცუდადაა და ვერ შველი, უნდა გაუშვა, რად უნდა ამას ამდენი ლაპარაკი. 285-ზე მეტი პატიმარია ასე გაშვებული“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დავით ზურაბიშვილი პასუხობს.

„ივანიშვილი ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებოდა, არასოდეს ცდილობდა რუსეთს დაპირისპირებოდა“

– ბატონო დავით, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? ხელისუფლებამ სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან. სამძიმარიც კი ვერ გაბედესო. თითქოს დღეს ზოგ-ზოგიერთმა გაბედა და აქა-იქ მოვისმინეთ სამძიმრის სიტყვა, თუმცა ეს არ არის ის, რაც ხელისუფლებას უნდა ეთქვა. რა პოზიციაა ეს და ვინ კარნახობს ამ ყოველივეს, ივანიშვილი?

– სწორად რომ არ იქცევა ხელისუფლება, ამაში ორი აზრი არ არსებობს. ერთი მხრივ, ეს არის იმ პოლიტიკის გაგრძელება, რაც თავიდანვე ჰქონდათ. ომი რომ დაიწყო და ჯერ კიდევ ვერ გამოსულან იქიდან. მაშინ ბიძინა ივანიშვილმა ჩათვალა, რომ რუსეთი ამ ომს მოიგებს და ყველაფერი ისე იქნება, როგორც რუსეთს სჭირდება და, შესაბამისად, შეეცადნენ, საკმაოდ მკვეთრად გადაეწყოთ საშინაო პოლიტიკაც ამ ხაზზე. მათ ჩათვალეს, რომ უკრაინაში წარმატების შემდეგ, რუსეთი რაღაცას მოგვთხოვს ჩვენ და ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, დათმობებზე უნდა წავიდეთ რუსეთთან. ასე ფიქრობდნენ და ამიტომაც ძალიან მკვეთრი გადახრა მოხდა კურსის. ივანიშვილი ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებოდა, არასოდეს ცდილობდა რუსეთს დაპირისპირებოდა.

– აბა, ომი გინდათ? მზად აქვთ ყოველთვის. მუშაობს ისევ ომი გინდათ?

– მუშაობს, როგორ არ მუშაობს. სამწუხაროდ, ისევ აქტიურად მუშაობს. ეს ყველაფერი რომ ყოფილიყო სხვა სიტუაციაში, სხვა კონტექსტში, ბუნებრივია, ივანიშვილის ხელისუფლებას, მომენტალურად, ყველა შერაცხავდა მოღალატედ და კოლაბორაციონისტად და აქ იქნებოდა 100-ათასიანი დემონსტრაციები. თუმცა, ისე გამოვიდა, რომ უკრაინის ხელისუფლება თვითონ „ოცნების“ დიდი ნაწილისთვის, ასოცირებულია ნაციონალურ მოძრაობასთან და მათი გამარჯვება, რაღაცნაირად შიშთან ასოცირდება.

– იმის შიშთან, რომ აქ ნაციონალებს მოაბრუნებს?

– დიახ, ეგ მომენტი აქვთ. ხელისუფლებაც ამ შიშებზე სპეკულირებს.

– უკრაინის ხელისუფლების მხრიდან წამოსულმა განცხადებებმაც შეუწყო ამ ყველაფერს ხელი?

– დიახ, ასეა. ნამდვილად შეუწყო ხელი. არახამიას და კიდევ სხვების განცხადებები, ამას ხელს უწყობს და მხოლოდ ამყარებს „ქართული ოცნების“ ამომრჩეველს ამ შიშებში. ჩვენი ხელისუფლებაც, მე ვიტყოდი, რომ უსინდისოდ სარგებლობს ამ შიშებით. კიდევ უფრო აღვივებენ ამ შიშებს. მეორე მომენტიც არის, ობიექტურები რომ ვიყოთ, ვთქვათ ესეც. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა, სულ რომ იდეალური ხელისუფლება გვყავდეს, ვერ იქნებოდა ისეთი მკვეთრი რუსეთის მიმართ, როგორიც არის ბალტიის ქვეყნების ან პოლონეთის. ჩვენ გვაქვს სერიოზული პრობლემები, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, მაგრამ მკაფიოობა რასაც ჰქვია, რომ ჩვენ ვართ უკრაინის მხარეს და ვგმობთ რუსეთის აგრესიას და ჩვენი დაღუპული მეომრები საქართველოსთვისაც იბრძოდნენ, ეს პოზიცია, ვალდებულია, ჰქონდეს სახელმწიფოს. რა, ნაციონალური მოძრაობისთვის კვდება იქ ის ხალხი?! ამ პოზიციის ქონა უსინდისობაა!

– სიკვდილს პარტია აქვს? იცის ნაცი და ქოცი? სამძიმარს რა უდგას წინ?

– რასაკვირველია! მე თავიდანვე ვამბობდი, რომ ეს არის აბსოლუტურად უზნეო პოზიცია. სამძიმრის თქმა უჭირთ. ბოლო დღეებში 6 ქართველი დაიღუპა და საერთოდ ჩუმად იყვნენ. ძალიან დიდი აღშფოთება რომ გამოიწვია ხალხში, ამის მერე გამოვიდა და ძლივს რაღაც ამოღერღა ერთმა-ორმა. რა უნდა ვთქვა, ქოცების საშველი არ იქნება. ვერ გამოსწორდებიან. უბრალოდ, საჭიროა ჯანსაღი ალტერნატივა არსებობდეს საზოგადოებაში. მე დარწმუნებული ვარ, საზოგადოება არჩევნებზე თავის სიტყვას იტყვის!

– ანუ 2024-ში მოუბრუნდება ეს ყველაფერი ბიძინა ივანიშვილს?

– ყველა ვარიანტში მოუბრუნდება! თუმცა მთავარია, ჩვენ არ მოგვიბრუნდეს.

– რას გულისხმობთ?

– ანუ ხალხს არ მოუბრუნდეს. აქ ხომ ორი ვარიანტია, ან ხელისუფლება უნდა შეიცვალოს და თუ ვინ შეცვლის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, ან ჩაბეტონდება ისევ ეს ხელისუფლება. მეორე ვარიანტი ძალიან ცუდია. პირველ ვარიანტში ხელისუფლების ცვლილება აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ რაღაცა სასიკეთო ცვლილებები დაიწყოს ქვეყანაში, მაგრამ ეს არ არის საკმარისი პირობა.

– კიდევ რა არის საჭირო?

– უნდა ვიცოდეთ, ვინ მოდის, რანაირად მოდის, რას აპირებს? აი ეს არ არის ცნობილი.

– ალტერნატიული ძალა რომ არ არის გამოკვეთილი, ესეც აშინებს მოსახლეობას?

– რა თქმა უნდა, აშინებს. ერთადერთი გამოკვეთილი ძალა არის ნაცმოძრაობა დღესდღეობით.

– თუმცა იქაც ცუდი პროცესები მიმდინარეობს.

– რა პროცესებიც არ უნდა მიმდინარეობდეს, ყველაზე გამოკვეთილი ძალა და ხელისუფლების ალტერნატივა დღეს ეგ არის. ჯერ-ჯერობით ასეა.

– ეს ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთებას ნიშნავს ამომრჩევლისთვის.

– სწორედ ეს არ არის კარგი. რაღაც პოზიტიური ალტერნატივა უნდა გაჩნდეს. არჩევნებამდე ჯერ კი ორი წელია, მაგრამ ამ ორ წელს როგორ გადავაგორებთ ამ ხელისუფლების ხელში, ესეც ცალკე ამბავია, მაგრამ მე ძალიან მეპარება ეჭვი, 2024 წლამდე რამე ცვლილება იყოს. არჩევნებისთვის მნიშვნელოვანია ჯანსაღი ალტერნატივის შექმნა.

– საზოგადოების დიდი ნაწილი ასევე გააღიზიანა კალაძის ახალმა საახალწლო სლოგანმა – მშვიდობის ქალაქი. ამაზე რას იტყვით?

– ეს უსინდისობაა. ასეთ პოლიტიკას როცა აწარმოებ, შენ ვერ დაიმსახურებ ადამიანების პატივისცემას. ნამდვილად ვერავისგან. ეს არის აბსოლუტურად მიზანმიმართული სლოგანი. კონფრონტაციის გასაღვივებლად. ცდილობენ, რაღაცნაირად საკუთარი ხელისუფლების ეს ლაჩრული, მხდალი და ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა გაამართლონ და წარმოაჩინონ ისე, რომ ამის ალტერნატივა არის მხოლოდ ომი და ნაცმოძრაობის მობრუნება ხელისუფლებაში. ახლა ოპოზიცია ამ პროპაგანდას რამდენად ეფექტურად უპირისპირდება, ეს კიდევ მეორე საკითხია. ჩემი აზრით, ვერ უპირისპირდება ეფექტურად. თუმცა ეს თავისთავად არ აუქმებს იმას, რომ ხელისუფლების პოლიტიკა არის უზნეო!

– ბატონო დავით, რას იტყვით სააკაშვილის შესახებ. ბოლო პერიოდია, ყველა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის განხილვით არის დაკავებული. ვისმენთ შეფასებებს, რომ მისი მდგომარეობა მძიმეა.

– მართალი გითხრათ, უკვე აბსოლუტურ მარაზმში გადავიდა ეს სიტუაცია. ჩემთვის ეს სიტუაცია არის წმინდა სამედიცინო და ჰუმანიტარული საკითხი. ბოლოს და ბოლოს, რა გახდა ერთი ისეთი დასკვნა დაიდოს სამედიცინო საზოგადოების მხრიდან, თუ აქ არ არის, მაშინ საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანონ, ბატონო, ის ხალხი, ვინც მეტ-ნაკლებად მისაღები იქნება ყველასთვის და როგორც ის ხალხი იტყვის, გაკეთდეს ისე. თუ ისეთი მდგომარეობაა, რომ აქ მისი მკურნალობა და რეაბილიტაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, მაშინ, რა თქმა უნდა, ის უნდა იყოს გადაყვანილი. ამას რად უნდა პოლიტიკა, ეს არის ელემენტარული ადამიანობის ამბავი. თუ არის შესაძლებელი, რომ აქ ჩაუტარდეს სრულფასოვანი მკურნალობა და რეაბილიტაცია, მაშინ ესეც უნდა ითქვას. ან ერთი თქვან, ან მეორე. ჩვენ, საზოგადოება, რომელიც ამ პროცესს გარედან ვუყურებთ, რა ხდება, ვერ ვიგებთ! ადამიანი კარგად რომ არ არის, ამას ვხედავთ. მას რომ რამე დაემართოს, რა თქმა უნდა, ეს ქვეყნისთვის იქნება ძალიან მძიმე ამბავი. თუ ადამიანი კვდება და ვერ შველი, უნდა გაუშვა, რად უნდა ამას ამდენი ლაპარაკი. 285-ზე მეტი პატიმარია ასე გაშვებული.

– ჯერი სასამართლოზეა. მან უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა. გაქვთ სასამართლოს ობიექტურობის იმედი?

– სასამართლოს იმედი არავის არ აქვს. უბრალოდ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ივანიშვილი რას იზამს და რას გადაწყვეტს.

– სალომე ზურაბიშვილი ხომ არ შეიწყალებს?

– არ უჩანს სამაგისო პირი და მე საერთოდ ვერ ვხედები ამ ქალის მიდგომებს. რატომ აკეთებს ამას?! რას დააკლებდა სააკაშვილის შეწყალება? ერთადერთი, დაკარგავდა ხელისუფლების კეთილგანწყობას. მე რომ მის ადგილას ვიყო, აქამდეც გაკეთებული მექნებოდა ეს. არა იმიტომ, რომ უდანაშაულოდ მიმაჩნია სააკაშვილი, არა, უბრალოდ, პოლიტიკური პროცესების სიჯანსაღისთვის ჯობია, ეს ადამიანი იყოს გარეთ, ვიდრე იყოს ციხეში. ეს ქვეყნისთვის ჯობია!

ირაკლი ღარიბაშვილი: „სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებს, ჩვენი 33 თანამოქალაქე დაიღუპა ამ ომში, უკრაინაში, რაც ჩვენთვის ტრაგედიაა“

– პირველ რიგში, მინდა, სამძიმარი გამოვუცხადო დაღუპულთა ოჯახებს, მათ ახლობლებს, ნათესავებს, აქვე მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ჩვენთვის ეს არის ძალიან დიდი ტკივილი, გულწრფელად მინდა ვთქვა ამის თაობაზე, დიდი დანაკლისი. უკვე ჩვენი 33 თანამოქალაქე დაიღუპა ამ ომში, უკრაინაში, რაც, რა თქმა უნდა, არის ჩვენთვის ტრაგედია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 5 დეკემბერს, მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, წინა შემთხვევებისას, ყველა დაღუპულის გადმოსვენება მოხდა მთავრობის უშუალო ჩართულობით, საელჩოები იყვნენ ადგილზე ჩართულები.

– კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ მათ ოჯახებს. აქვე მინდა ჩვენს საზოგადოებას შევახსენო კიდევ ერთხელ, თუ რა როლი აქვს დღევანდელ ხელისუფლებას ამ პროცესში და კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო, რომ ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილებით ოჯახებთან შეთანხმებით, მათ წევრებთან შეთანხმებით, ყველა დაღუპულის გადმოსვენება მოხდა მთავრობის უშუალო ჩართულობით, საელჩოები იყვნენ ადგილზე ჩართულები. მე ვგულისხმობ წინა შემთხვევებს, ამ ხარჯებს სრულად ფარავს მთავრობა და ასევე ჩვენი გადაწყვეტილებით, ვინაიდან მათი უმეტესობა იყვნენ სამხედროები, ოფიცრები, პოლიციელები, მათ მიღებული აქვთ მონაწილეობა ჩვენს ტერიტორიაზე ომებში, აგვისტოს ომი იქნებოდა 2008 წლის, თუ მანამდე აფხაზეთის ომი და სამაჩაბლოში ომები, ამიტომ ჩვენი გადაწყვეტილებით, ყველა ასეთი შემთხვევა იქნა ღირსეულად სამხედრო პატივით აღნიშნული, დაკრძალული და კიდევ ერთხელ მინდა მივუსამძიმრო ყველას ეს ტრაგედია, – აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერის თქმით, ეს ადამიანები უკრაინაში ომის დაწყების დღიდან ცდილობდნენ და ცდილობენ გარკვეული პროვოკაციების მოწყობას.

– მინდა ვთქვა, რომ ვუყურებთ რა ბოლო დღეების განმავლობაში ატეხილ აჟიოტაჟს, ყველაზე მგრძნობიარე საკითხზე – ადამიანი გარდაიცვალა ომში და ამაზე ვიღაც ფარისეველი, მე ასე უნდა ვუწოდო, ყალბი პოლიტიკოსები, გამყიდველი პოლიტიკოსები ცდილობენ გარკვეული პოლიტიკური დივიდენდების მიღებას. ამაზე ამორალური თუ რამე არსებობს. მინდა ყველას შევახსენო, რომ ეს ადამიანები, ეს ე.წ. ომის პარტია და შეიძლება ასე ითქვას პირდაპირ, გამყიდველების პარტია, და რატომ ამას ავხსნი – დღიდან ომის დაწყებისა უკრაინაში, ცდილობდნენ და ცდილობენ გარკვეული პროვოკაციების მოწყობას. მათი ორგანიზებულია ახლაც, სამწუხაროდ, ჩვენი თანამოქალაქეები მიჰყავთ ომის პარტიის წარმომადგენლებს უკრაინაში, მათი არაერთი პროვოკაცია იქნა ჩვენი მთავრობის მიერ თავიდან აცილებული. ყველას კარგად გახსოვთ, როგორ მოიქცა მათი ლიდერი და მათი მმართველობა აგვისტოს ომის დროს. ჩვენი გმირი ჯარისკაცების ცხედრები დატოვეს ბრძოლის ველზე. რაზე საუბრობენ საერთოდ. დღეს როგორ ბედავენ ეს ადამიანები, საერთოდ როგორ ახსენებენ სამხედროების სახელს. ჩვენ კარგად ვიცით, როგორ მიატოვეს სამხედროების ცხედრები, გამოიქცნენ თავად. ე.წ. მთავარსარდალმა ყველაზე დიდი სირცხვილი აჩვენა ერს. მიწაზე იყო გართხმული და მეორე – თავდაცვის მინისტრი გამოიქცა ბრძოლის ველიდან, ყველამ კარგად ნახა ეს კადრები. დღეს გამოდიან და ცდილობენ მგრძნობიარე საკითხებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, მღელვარების შემოტანას, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ოპოზიციის წარმომადგენლები ხელისუფლებაში რომ ყოფილიყვნენ, საქართველოს პოლიგონად გადააქცევდნენ.

– მე მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა ჩვენს საზოგადოებას, რომ მიუხედავად ძალიან ბევრი მცდელობისა, რომ საქართველოში გადმოეტანათ მეორე ფრონტი, ჩვენი გონივრული პოლიტიკის შედეგად, ეს ყოველივე იქნა თავიდან აცილებული. წარმოიდგინეთ, რომ ეს ადამიანები იყვნენ დღეს ხელისუფლებაში, ოპოზიციაში არიან და იქიდან ცდილობენ ომის დაწყებას და მეორე ფრონტის გახსნას. ერთი წამით რომ წარმოვიდგინოთ, რომ ეს ადამიანები დღეს ხელისუფლებაში იყვნენ, საქართველოს გადააქცევდნენ პოლიგონად. ვინმეს ეჭვი ეპარება, თუ არ გაუკეთებიათ მანამდე?! საკუთარი ნებით, გადაწყვეტილებით ჩააბარეს ჩვენი ტერიტორიის 20%, კოდორის ხეობა, ასეულობით სოფელი და ჩვენი ასეულობით გმირი ჯარისკაცი შეეწირა ამ ომებს და მათ ამ გაუთვლელ ნაბიჯებს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, ხალხი ბრძენია და ყველაფერს კარგად ხედავს, თუ როგორ ცდილობენ ტრაგედიაზე გარკვეული პოლიტიკური დივიდენდების მიღებას.

– ხალხი ბრძენია და ყველა კარგად ხედავს, მაგრამ ვინაიდან ყველა ასეთ მცდელობაზე, ასეთ ტრაგედიაზე ცდილობენ გარკვეული პოლიტიკური დივიდენდების მიღებას, ამიტომ ყოველთვის შევახსენებ, რომ ეს არის ამორალური ფარისევლობა და მათ არაფერი ესაქმებათ საერთოდ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან, ან მის დაცვასთან საერთოდ.

ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორი განცხადებებით გამოდიოდნენ ომის პარტიის წარმომადგენლები, მათი სახალხო დამცველი ქალბატონი ლომჯარია, რომ გვირჩევნია ბომბები ცვიოდესო, საქართველოში, თბილისში, გამოდიოდნენ და ასეთი განცხადებებით დაგვამახსოვრეს თავი. რა უნდა გაგვიკვირდეს ამ ადამიანებისგან საერთოდ? თქვენ ახლა, ვინმეს გგონიათ, რომ ამ ადამიანებს უხარიათ, დღეს ჩვენთან მშვიდობა რომ არის და ეს სტაბილურობა და ეს კეთილდღეობა? – აღნიშნა პრემიერმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვრაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ხელისუფლებას აქტიური სააკაშვილი უფრო აწყობს, რომლისგანაც კვლავ შექმნის საფრთხობელას“

რამაზ საყვარელიძე: „დიდი ეჭვი მაქვს, სააკაშვილს, როგორც პოლიტიკოსს, სრულიად მიზანმიმართულად ანადგურებენ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო რამაზ, სალომე სამადაშვილმა განაცხადა, იმედია, პრეზიდენტი ივანიშვილს დაარწმუნებს, რომ სააკაშვილის ციხეში დაღუპვა არა მხოლოდ ქვეყნისთვის იქნება გამოწვევა, არამედ თავადაც უმძიმეს პრობლემებს შეუქმნის. შეიძლება დასავლეთი პრეზიდენტთან ამ საკითხზე მუშაობს?

– არაფერია გამორიცხული. თუმცა, სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებთ, სამადაშვილის ამ განცხადებაზე მინდა ვთქვა, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აყენებს ოპოზიციას ივანიშვილზე აპელირება. ბევრად უკეთესი იქნებოდა, აქცენტი გაეკეთებინათ სხვა კუთხით. რა გზით, როგორ შეიძლება არსებული მდგომარეობის განეიტრალება და რა შეუძლია ოპოზიციას შესთავაზოს ხელისუფლებას. ივანიშვილი ამბობს, რომ ის არაფერს არ წყვეტს და პოლიტიკიდან წასულია, ისე რომ, არავის ზარს არ პასუხობს.

– ევროპაშიც არის მაგალითები, თუნდაც საფრანგეთში ყოფილი პრეზიდენტი სარკოზი მსჯავრდებულია, მაგრამ შინაპატიმრობაშია. შეიძლება ასეთ ვარიანტებს თავაზობს დასავლეთი „ქართულ ოცნებას“?

– თქვენ მიერ დასახელებული ეს მაგალითი ბევრად უფრო მაღალი დონის პოლიტიკაა, ვიდრე მოთხოვნა – ივანიშვილმა გაათავისუფლოს სააკაშვილი.

არა მხოლოდ ევროპაში, ისრაელშიც უამრავი მსგავსი მაგალითია. ასეთ მაგალითებზე უნდა იყოს აქცენტი და არა იმაზე – გაათავისუფლოს. ეს ბევრად წამგებიან პოზიციაში აყენებს თავად ოპოზიციას.

„ქართულ ოცნებას“ თავისი ამომრჩეველი ჰყავს და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ამ ამომრჩევლის თვალში არ უნდოდეს სააკაშვილის ციხიდან გამომშვები ერქვას. ბევრი ნიუანსია.

რაც შეეხება თავად სააკაშვილის მდგომარეობას: სიმართლე გითხრათ, ძალიან უცნაურია დიაგნოზი, რომელიც შეიძლება დაეტიოს ნახევარ გვერდზე. რატომ საჭიროებს ასოც გვერდზე იყოს გაწერილი, ჩემთვის გაურკვეველია. ასევე გაურკვეველია ექიმთა იმ კონსილიუმის განცხადებები უკვე დღეს, რომლებიც შარშან გვეუბნებოდნენ, ერთ დღეს ვერ გაძლებს, კვდებაო. თუმცა, მე ნამდვილად არ გამოვრიცხავ სააკაშვილის ბუნებიდან, მისი ტემპერამენტიდან გამომდინარე, ის სერიოზულ დეპრესიაში იყოს. დეპრესია კი ისეთი რამ არის, ადამიანს სიცოცხლის სურვილი უქრება. დეპრესია სერიოზული მოვლენაა და ადეკვატურ მკურნალობას საჭიროებს, მაგრამ ამ დაავადებას საქართველოშიც მკურნალობენ.

„პოლიტიკოსები კი პოლიტიკიდან ასე მარტივად არ მიდიან. სააკაშვილი პოლიტიკაში რომ ყოფილიყო, ამიტომ იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე თქვა უარი, რომლის პრეზიდენტიც იყო“

რაც შეეხება ამ ყველაფრის პოლიტიკურ ნაწილს. ისე ხდება მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის წარმოჩენა, ვერ გეტყვით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, დიდი ეჭვი მაქვს, სრულიად მიზანმიმართულად, სააკაშვილს, როგორც პოლიტიკოსს, ანადგურებენ და ანგრევენ.

– ვისი მხრიდან?

– ეს არ ხდება ხელისუფლების მხრიდან. ხელისუფლებას ბევრად უფრო აწყობს აქტიური, პოლიტიკაში მყოფი სააკაშვილი, რომლისგანაც კვლავ შექმნის საფრთხობელას, მაგრამ საავადმყოფოში სიკვდილ-სიცოცხლეს რომ ებრძვის, ის კაცი ვის შეუქმნის საფრთხეს, ის ხომ ვერასდროს დაბრუნდება ძალაუფლების სათავესთან.

– ოპოზიციას, მის გარემოცვას უფრო აწყობს პოლიტიკიდან წასული სააკაშვილი?

– რა თქმა უნდა. აბა, ციხეში მყოფი, რომელმაც ციხის ფასად მოინანია ყველაფერი, იქიდან გაორმაგებული რეიტინგით უნდა დაბრუნდეს, ხომ ასეა?! ხომ ვიცით პოლიტიკოსები, რომლებიც ციხიდან, როგორც გმირები, ისე გამოვიდნენ. ეს ხომ ძალიან მარტივად დასანახია, ხომ ხელისგულზე დევს. სააკაშვილი პოლიტიკური კონკურენტია ყველასთვის და ეს მდგომარეობა ყველაზე კარგი მაგალითია მის ჩასაჩოჩებლად, საერთოდ პოლიტიკური ველიდან გასაყვანად.

– გამორიცხავთ, რომ პოლიტიკა მართლაც არ აინტერესებდეს და მისი ადვოკატების ეს ნათქვამი, სიმართლე იყოს?

– თუ დეპრესიაშია და დარწმუნებული ვარ, ასეც არის, პოლიტიკა კი არა, შეიძლება სიცოცხლეც არ უნდა, მაგრამ რამდენიმეთვიანი მკურნალობის შემდეგ გაორმაგებული ენერგიით შეიძლება დაუბრუნდეს პოლიტიკის სურვილიც და სიცოცხლის ხალისიც. ამიტომ, შეიძლება დღეს მართლაც ასე ამბობდეს, მაგრამ სააკაშვილი პოლიტიკოსია. პოლიტიკოსები კი პოლიტიკიდან ასე მარტივად არ მიდიან. პოლიტიკაში რომ ყოფილიყო, ამიტომ იმ ქვეყნის მოქალაქეობაზე თქვა უარი, რომლის პრეზიდენტიც იყო.

– თქვენ ამბობთ, რომ „ქართულ ოცნებას“ სააკაშვილის სიცოცხლე პატიმრობაში ფატალურად დასრულებული, არ აწყობს?

– ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, არ აწყობს. არ აწყობს არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ. მეტიც, მებრძოლი, ხმალამოღებული სააკაშვილი უფრო აწყობს, რომ კვლავ თქვას – საფრთხობელა, მგელი მოდის და მისი ამომრჩევლის მობილიზება მოახდინოს.

– და თუ ასეა, რას იტყვით, რატომ არ გადაჰყავს საზღვარგარეთ სამკურნალოდ?

– ვერ გეტყვით, შეიძლება საკუთარ ამომრჩეველში რა რეაქციას გამოიწვევს, ამაზეც ფიქრობდნენ. ბევრი დეტალია.

ნიკა გვარამია: „ვისწავლოთ ცხოვრება ამ მთავრობის გარეშე და მათი დღის წესრიგის მიღმა!“

„მთავარი არხის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს.

– მინდა სამძიმარი გამოვთქვა ბახმუტში დაღუპული ქართველი გმირების გამო. სამძიმარი გამოვთქვა არა მარტო მათი ოჯახების, მეგობრების და ჭირისუფლების მიმართ, არამედ მთელი საქართველოს მიმართ, ვისაც დაგვრჩა ღირსება და ზნეობა, ვიგლოვოთ საკუთარი გმირები.

ასეთი ზნედაცემულობა, რასაც ხელისუფლება ჩადის, საერთოდ არ მახსენდება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. არ მახსენდება, სიკვდილის ირგვლივ არ გაერთიანებულიყოს ერი, არ მახსენდება, გლოვას არ გავეერთიანებინეთ. არც ის მახსენდება, ასე უმწეოდ ვხვდებოდეთ ჩვენი ქვეყნისთვის ღირსების აყრას. სამწუხაროა, რომ ჯერაც არ გვაქვს გაცნობიერებული, რომ ამ ხელისუფლებისგან რაიმეს მოლოდინს არავითარი რაციონალური საფუძველი არ აქვს. სამწუხაროა, რომ ჯერაც ვერ მოვიშალეთ ამ ხელისუფლების დამუნათება და მოწოდებები, იმოქმედონ მორალური კანონის შესაბამისად და გულის პატრიოტული კარნახით. მგლის თავზე სახარების კითხვაა, მორალი მოსთხოვო არანორმალურს, პატრიოტიზმი მოსთხოვო სამშობლოს განცდის არმქონეს, ჰუმანურობა მოსთხოვო სადისტს.

მოგიწოდებთ, შევწყვიტოთ ეს მოლოდინები და რეალობას ჩავხედოთ თვალებში, ამის გარეშე ვერაფერს შევცვლით. მოვრჩეთ უსაფუძვლო მოლოდინებს და ვიმოქმედოთ თავად! ამ ტრაგედიით დავიწყოთ! – არ გლოვობს მთავრობა, ვიგლოვოთ ჩვენ! რაში გვჭირდება მთავრობა და მის მიერ გამოცხადებული გლოვის დღე? გავმართოთ წუთიერი დუმილის აქციები, შენობებში თუ გარეთ, სამსახურში თუ სუპერმარკეტებში! 1 დღით მაინც გავაჩეროთ ცეკვა-თამაში და გართობა ტელევიზიებში (ყველა გემოვნების ტელევიზიებს ვგულისხმობ)! უარი ვთქვათ ცეკვა-თამაშში მონაწილეობაზე! ვატაროთ შავი სამკლაურები ან გლოვის სხვა სიმბოლიკები! ვისწავლოთ გადაწყვეტილებების თავად მიღება! ვისწავლოთ თვითორგანიზება! გავაცნობიეროთ, რომ მთავრობა არ გვყავს, და რაც გვყავს, ის მთავრობა არ არის, რამეთუ გამოხატავს არა ჩვენს აზრს და იცავს არა ჩვენს ინტერესებს!

ვისწავლოთ ცხოვრება ამ მთავრობის გარეშე და მათი დღის წესრიგის მიღმა! ვისწავლოთ ეს, შევიცვალოთ ჩვენ თვითონ, თუ გვინდა, რომ უკეთესობისკენ შევცვალოთ ჩვენი ქვეყანა!

გია ბუღაძე თსუ-დან გაათავისუფლეს

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი ხატია დეკანოიძე სოციალურ ქსელში წერს, რომ გია ბუღაძე თსუ-დან გაათავისუფლეს.

– გია ბუღაძეს უნივერსიტეტმა უთხრა, რომ კონტრაქტს აღარ გაუგრძელებდა.

გია ბუღაძეს უთხრა სამუშაომ.

უნივერსიტეტში კითხულობდა ბავშვებისთვის, სტუდენტებისთვის და ზუსტად ვიცი, რამხელა ენერგიას დებდა.

ისიც ვიცი, სტუდენტებს როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ და როგორ დაზარალდებიან.

ბრუკლინში საქართველოს მოქალაქე მოკლეს, კიდევ ერთი ქართველი მძიმედ დაჭრილია

ბრუკლინში საქართველოს მოქალაქე მოკლეს, კიდევ ერთი ქართველი მამაკაცი დაჭრილია. მის გადარჩენას ექიმები ამ დრომდე ცდილობენ. ინფორმაციას „ტვ პირველი“ ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელებიც ქართველები არიან.

სისხლიანი დაპირისპირება იმ დროს მოხდა, როდესაც საქართველოს ორ მოქალაქეს ბანკიდან ფული გამოჰქონდა. მათ ადგილზე სამი შეიარაღებული პირი დახვდა. ადევნებისა და ყაჩაღობის მცდელობას რამდენიმე გასროლა მოჰყვა. 45 წლამდე მამაკაცს ორი სასიკვდილო ტყვია მუცლის არეში მოხვდა. მძიმედ დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ექიმებმა ვეღარ შეძლეს. მიყენებული ცეცხლსასროლი ჭრილობებისგან ის კლინიკაში გარდაიცვალა.

დაჭრილია მისი თანმხლები, ასევე ქართველი 30 წლის კაცი, თუმცა მდგომარეობა სტაბილურია.

არჩილ ხოფერია: „უბრალოდ, ქვეყნის მმართველს მეტი დაფიქრება მართებს“

უკრაინაში დაღუპული ქართველი მებრძოლის, ჯამბულათ ხოფერიას მამა, არჩილ ხოფერია სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს.

– მე გულს უკვე ვეღარაფერი მატკენს, სიტყვაზე ვამბობ, უადგილოდ, უაზროდ ნათქვამ სიტყვაზე. უბრალოდ, ქვეყნის მმართველს მეტი დაფიქრება მართებს თითოეულ სიტყვაზე.

არ მინდოდა მეთქვა ან რა სათქმელია, უბრალოდ, იცოდეთ, ჩემი შვილი, როცა ომი დაიწყო, თბილ მიუნჰენში იყო. დილის 9-ზე დამირეკა და მითხრა, რომ მიდიოდა. უბრალოდ, ვთხოვე, დამლოდებოდა ვარშავაში, არ დამელოდა. და იმ კიევში შევიდა, რომელსაც მთელი მსოფლიო დაცემას, მის დამცველებს კი სიკვდილს უქადდა. იგი არავის წაუყვანია ან რა გვჭირს ჩვენ ვინმეს წასაყვანი...

მას მისი კაცური მოვალეობები აწუხებდა და მისი გზა ჰქონდა, რაზეც, ვფიქრობ, პირუთვნელად იარა...

ლევან ხაბეიშვილი: „სახელისუფლო გუნდის წევრებს აკრძალული აქვთ სამძიმრის თქმაც“

– დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელიც 2008 წლის ომზე კვლავ ბინძურად სპეკულირებს და ბიძინა ივანიშვილის თოჯინა ღარიბაშვილი ბედავს და აუგად მოიხსენიებს მაშინდელ მთავარსარდალს, პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელმაც პირველად გაუწია წინააღმდეგობა მკვლელ, ტერორისტ პუტინს ჩვენ ჯარისკაცებთან ერთად, – ამის შესახებ ლევან ხაბეიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა.

მისი განმარტებით, უკვე 10 წელია ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას ყოფს, აპირისპირებს და ხლეჩს.

– ცდილობს ისტორია რუსულად გადაწეროს და შემოგვასაღოს – არ ვართ სოლიდარულები, პატრიოტები, არ გვტკივა ჩვენი და ჩვენი ძალების ტკივილი. მიგვაჩვია, რომ უღირსად იქცევა ხელისუფლება და მოღალატეობრივ საქმიანობას ეწევა საქართველოში. საქმე საბოლოოდ იქამდეც კი მივიდა, რომ საჯარო მოხელეებს, სახელისუფლო გუნდის წევრებს აკრძალული აქვთ სამძიმრის თქმაც, სანამ რუსი ოლიგარქის სასახლიდან კონკრეტული სიგნალი არ მოვა. მხოლოდ უკანასკნელ თვეებში პატარა საქართველომ უკვე რამდენიმე ათეული ვაჟკაცი ჯარისკაცი დაკარგა მშვიდობისთვის ომში. დიახ, ეს არის ომი მშვიდობისთვის, რაც მიმდინარეობს უკრაინაში. თავისუფალ უკრაინელ ხალხს საკუთარ მიწაზე, ქვეყანაში მშვიდობიანი და თავისუფალი ცხოვრება, რასაც ვერ ეგუება ტერორისტი პუტინი და აწარმოებს არაადამიანურ, ტერორისტულ ომს უკრაინაში. ქართველი ბიჭები იბრძოდნენ მარიუპოლში იმიტომ, რომ ომი არ მისდგომოდა ბახმუტს, დაეცნენ ბახმუტთან იმიტომ, რომ ომი არ მიადგეს კიევს და უკრაინის სხვა ქალაქებს. დაიცავენ უკრაინას და კიევს იმიტომ, რომ შემდეგ ომი არ მოადგეს საქართველოს და თბილისს, – განაცხადა ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, თავისუფლებისთვის ომში უკრაინა გაიმარჯვებს, რადგან მის მხარეს არის სიმართლე და მთელი ცივილიზებული სამყარო.

– სამწუხაროდ, ამ დროს ჩვენ ქვეყანას ჰყავს ხელისუფლება, რომელიც საქართველოში, საქართველოსთვის მშვიდობისა და თავისუფლებისთვის დაღუპულ ჯარისკაცებს არ გლოვობს. დღეს გვყავს ხელისუფლება, რომელიც 2008 წლის ომზე კვლავ ბინძურად სპეკულირებს და ბიძინა ივანიშვილის თოჯინა ღარიბაშვილს ვგულისხმობ და აუგად მოიხსენიებს მაშინდელ მთავარსარდალს, პრეზიდენტ სააკაშვილს, პრეზიდენტს, რომელმაც პირველად გაუწია წინააღმდეგობა მკვლელ, ტერორისტ პუტინს ჩვენ ჯარისკაცებთან ერთად. პრეზიდენტ სააკაშვილს არცერთი წამი არ მიუტოვებია არა თუ ქვეყანა და ხალხი, არამედ ბრძოლის ველი. ის, რასაც ბინძურად სპეკულირებს რუსული ოცნება საქართველოში, არის რუსული პროპაგანდის გაგრძელება და რომ არა მაშინდელი მთავარსარდლის თავგანწირვა, ყველას კარგად გვახსოვს მკვლელი პუტინის ზრახვები თბილისის აღებასთან დაკავშირებით. დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელსაც არ სურს და არ სჯერა, რომ რუსეთი დამარცხდება უკრაინაში, – აცხადებს ხაბეიშვილი.

მან ასევე მიმართა საქართველოს მოქალაქეებს.

– მე, რიგითმა ქართველმა, ლევან ხაბეიშვილმა მინდა მოგმართოთ თქვენ, ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს არათუ ჩემი პოლიტიკური მიზანი, ჩემი ცხოვრების, ჩემი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

პუტინმა კადიროვს კონტროლიორად „ფსბ“-ს წარმომადგენელი მიუჩინა

მარიამ მჭედლიშვილი

უკრაინის ომის დაწყების დროიდან უკრაინაში დიდ ადგილს უთმობენ ჩეჩნეთის საკითხს. 16 ოქტომბერს უკრაინის რადამ რუსეთის მიერ დროებით ოკუპირებულად ცნო ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია, ასევე აღიარა ჩეჩნების გენოციდი. ჩეჩნები ამბობენ, რომ უკრაინის გამარჯვების შემდეგ ჩეჩნეთის დეოკუპაცია ადვილად მოხდება. უკრაინის მხარეს ომში იბრძვის ჩეჩნების რამდენიმე ბატალიონი. ერთ-ერთი მათგანია შეიხ მანსურის სახელობის ბატალიონი, რომელიც დანიაში 2014 წელს შეიქმნა და უკრაინის მაშინდელ მოქმედებებშიც მოხალისედ მონაწილეობდა. რუსეთის მხარეს თავისი რაზმელებით ომში ჩაბმულია ჩეჩნეთის ახლანდელი ლიდერი რამზან კადიროვი, რომლის გავლენასა და რეალურ შესაძლებლობებზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

შეიხ მანსურის სახელობის ბატალიონის სპიკერი, ისკლამ ბელოკიევი უკრაინულ მედიას ესაუბრა.

– საინფორმაციო სივრცეში ვხვდებით ცნობებს იმის შესახებ, რომ კადიროვი ცდილობს თავისი გავლენის ზრდას დონბასში. რამდენად სერიოზული გავლენა აქვს რამზან კადიროვს პოლიტიკაზე?

– კადიროვი ცდილობს გავლენის მოხდენას საშინაო პოლიტიკაზე, მას ასევე უნდა, იქონიოს გავლენა საგარეო პოლიტიკაზე. სადღაც პუტინმა ის პატარა ხიდად გამოიყენა მუსლიმანურ ქვეყნებზე გავლენისთვის. კადიროვი ხშირად დადიოდა იორდანიასა და საუდის არაბეთში. ერდოღანთანაც ეცადა შეხვედრას, მაგრამ ერდოღანმა არ მიიღო. პუტინი კადიროვს ხელკეტივით ინახავს, რომელსაც დროდადრო ხალხს ურტყამს. როსგვარდიაც ამისთვის შექმნა პუტინმა უკრაინაში შეჭრამდე. ეს იმისთვის გააკეთა, რომ მასობრივი მღელვარების დროს ჰქონოდა სახალხო პროტესტის ჩახშობის ინსტრუმენტი.

– ეს „ხელკეტი“ რუსეთის მთელი მოსახლეობისკენაა მიმართული თუ კონკრეტულად ჩეჩნეთისკენ?

– პირველ რიგში, ჩეჩნეთისკენ, რათა იქ შეინარჩუნოს კონტროლი. ვფიქრობ, რომ მომავალში, როცა პუტინს სხვა ვარიანტები არ დარჩება, ის მას გამოიყენებს სხვა ეროვნებების წინააღმდეგაც.

– რას და ვის ეყრდნობა კადიროვი, პუტინის მხრიდან ლოიალობის გარდა?

– პირველ რიგში, ეყრდნობა პუტინს. ბუნებრივია, ის სხვადასხვა თანამდებობაზე საკუთარ ნათესავებს ნიშნავს. თუმცა, ეს სუსტი საყრდენია, რომელიც კადიროვს ძირს გამოუთხრის. მის ნათესავებსაც უნდათ სიცოცხლე. კადიროვს არ შეუძლია ვინმეს დაეყრდნოს, პუტინისა და მოკავშირეების უახლოესი წრის გარდა. ეს წრეც უღალატებს. კადიროვის არმია, მაქსიმუმ, 2-3 ათასი კაცია.

– ბოლო წლების განმავლობაში ჩეჩნეთის პროკურორად მუშაობდა კადიროვთან დაახლოებული ადამიანი. ახლა ამ თანამდებობაზე მოყვანილია ახალი კაცი, ამბობენ, რომ ის დაახლოებულია „ფსბ“-სთან. ეს კრემლის განსაკუთრებული სიგნალია?

– კადიროვს აშკარად არ სურდა ძველ პროკურორთან დამშვიდობება, თუმცა, ახალი და ახალგაზრდა კადრი მაინც მოავლინეს. ადრე ის ჩეჩნეთში მუშაობდა, ბოლო დროს კი კარიერას მოსკოვში იკეთებდა. დიახ, ეს „ფსბ“-ს კაცია, რომელიც პირდაპირ არ დაემორჩილება კადიროვს. ფორმალობა არ დაირღვევა. შეიქმნება სურათი, თითქოს ახალი პროკურორი ემორჩილება კადიროვს, სინამდვილეში კი ის იმუშავებს „ფსბ“-ზე. მგონია, რომ ეს არის კადიროვის გაკონტროლების მცდელობა. შესაძლოა, კრემლში ეშინიათ მისთვის დიდი ძალაუფლების მიცემისა. პუტინს ეშინია, რომ კადიროვი შეიძლება გახდეს ხელისუფლების ალტერნატივა. ამიტომ გაუგზავნა მას კონტროლიორი.

– თქვენ თუ გრძნობთ კადიროვის პოლიტიკური წონის მატებას?

– კადიროვს აქვს მკაფიო ჩარჩო, რომელსაც ის ვერ გასცდება. ის ვერ ახდენს გავლენას, არ არის ლიდერი, მარტო ვერ გამოიყვანს ხალხსა და მომხრეებს. მას ახლანდელი მომხრეები მოიცილებენ. მაგალითად, მუჰამედ დაუდოვი, ადამ დელიმხანოვი.

– კადიროვს მკაცრი რიტორიკა აქვს, როცა ლაპარაკობს სატანისტებზე, შაითანთან ბრძოლაზე რუსეთის ომში უკრაინის წინააღმდეგ. რისთვის არის საჭირო ეს რიტორიკა? უჭერენ თუ არა მას მხარს მმართველი ელიტები?

– ისინი კადიროვს ამგვარად ლაპარაკის უფლებას აძლევენ, ესე იგი, ეს არ ეწინააღმდეგება მათ ინტერესს. პრინციპში, ეს იგივეა, რასაც აცხადებენ კრემლის რუპორები: სკაბეევა, სოლოვიოვი და ა. შ. სიტყვა „შაითანს“ კადიროვი ომამდეც ხმარობდა. ის მას იყენებს იმ მუსლიმანების მიმართ, რომლებიც რუსების წინააღმდეგ იბრძვიან. მისი გაგებით, სატანისტები თქვენ, უკრაინელები ხართ.

– სოციალურ ქსელებში კადიროვი გამოყვანილია კომიკურ პოლიტიკოს-მმართველად. ვინ არის ტიკ-ტოკსა და სხვა ქსელებში ამ ვიდეოების განთავსების ავტორი?

– ამ ვიდეორგოლებს თვითონ კადიროვი არ იღებს. მას აქვს ტელეგრამ-არხი. ტექსტების უმრავლესობას თვითონ არ წერს. კადიროვმა რიგიანად წერა-კითხვაც არ იცის. კადიროვი მარტო თავისი ვიდეო და ხმოვანი შეტყობინებების ავტორია.

პროკურატურამ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2 დეკემბერს, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ტოლაში მდებარე ტყის მასივში, ბრალდებულმა ურთიერთშელაპარაკებისას, თანასოფლელს დანით გულმკერდის არეში ჭრილობები მიაყენა. მიყენებული დაზიანების შედეგად დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული 4 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

ირაკლი ღარიბაშვილი: „დავიწყებთ ყველაზე პოპულარული საკურორტო ადგილების სრულ რეაბილიტაცია-განახლებას“

– ბანკები და საფინანსო სექტორი მოგების გადასახადების ე.წ. ესტონურ მოდელზე აღარ გადადიან, მათთვის შევინარჩუნებთ მოგების გადასახადის არსებულ სისტემას და 15%-ის ნაცვლად, 20%-ს გადაიხდიან, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

პრემიერ-მინისტრმა განმარტა, რომ ბანკების სუფთა მოგება წლის ბოლოსთვის 2 მილიარდი ლარი იქნება, რაც გაუმართლებელია.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილებით მთავრობა 2024 წლიდან დამატებითი შემოსავლის მიღებას ვარაუდობს.

– მინდა ძალიან მოკლედ გითხრათ, რომ ეკონომიკური საბჭოს ფორმატში ჩვენ გვქონდა განხილვები და რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მინდა ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას, მათ შორის, ბიზნეს-სექტორს, საბანკო სექტორს. პირველ რიგში, დავიწყებ იმით, რომ ჩვენ საფინანსო სექტორისთვის მივიღეთ შემდეგი გადაწყვეტილება: ბანკები და საფინანსო სექტორი აღარ გადადის მოგების გადასახადების ე.წ. ესტონურ მოდელზე, მათთვის შევინარჩუნებთ მოგების გადასახადის არსებულ სისტემას და ესტონური მოდელის ჩანაწერი გაუქმდება, ამ ინიციატივით შევდივართ პარლამენტში იმიტომ, რომ უბრალოდ, გაუმართლებელია, ბანკებს ამხელა მოგება აქვთ, 2 მილიარდი ლარი იქნება ბანკების მოგება წელს, წლის ბოლომდე, 2 მილიარდი ლარი სუფთა მოგება.

ამას გარდა, ჩვენი გადაწყვეტილებით და ინიციატივით, პარლამენტს, რა თქმა უნდა, მივმართავთ ამის თაობაზე, მოგების გადასახადი ბანკებისთვის იქნება 20%, ნაცვლად 15%-ისა და ამით ჩვენ დამატებითი შემოსავლების მიღებას ვვარაუდობთ 2024 წლიდან. მოგების გადასახადს ბანკები გადაიხდიან ფინანსური აღრიცხვების ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, რაც მანამდე ასე არ ხდებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ ვაფასებთ ბანკების როლს ეკონომიკის ზრდაში. უაღრესად მნიშვნელოვანია ის, რომ გვაქვს ძალიან განვითარებული საბანკო სისტემა, ორი მსხვილი ბანკი არის ლონდონის საფონდო ბირჟაზე და ჩვენ, რა თქმა უნდა, მომავალშიც გავაგრძელებთ მათ ხელშეწყობას, მაგრამ ეს არის მცირედი კორექტივები, რომელიც ჩვენ შევიტანეთ კანონმდებლობაში, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ საგადასახადო შეღავათები სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირებისთვის და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისთვის დამატებით 3 წლის ვადით, 2026 წლამდე გაგრძელდება.

– რაც შეეხება ციტრუსის სეზონს, ძალიან მოკლედ მინდა ვთქვა, რომ ბატონი ოთარ შამუგია იმყოფებოდა აჭარაში, პირადად დაათვალიერა და გაეცნო ადგილზე სიტუაციას. შეიქმნა საკოორდინაციო შტაბი. ჩვენი მონაცემებით, 45.000 ტონამდე ციტრუსის მოსავალია მოსალოდნელი წელს, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა საზოგადოებას შეახსენა, თუ რა გამოწვევები არსებობდა პენიტენციურ სისტემაში 2012 წლამდე და რა პირობებია ახლა.

მისივე თქმით, ახალი კოდექსით მთელი რიგი შეღავათებია განსაზღვრული, მათ შორის, პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი, რომლის თანახმად, კიდევ უფრო მეტად დაფასდება და გამარტივდება მეზღვაურების საქმიანობა.

– მეზღვაურებისთვის გვაქვს ასევე ძალიან კარგი ინიციატივა და ბატონი ღევანის უწყებამ მოამზადა აღნიშნული კანონპროექტი. მეზღვაურების საქმიანობა არის მხარდაჭერილი მთავრობის მიერ, ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი კარგი რეფორმა განვახორციელეთ მათთვის და ჩვენ ახლაც, დღევანდელი ინიციატივით, კიდევ უფრო მეტად დავაფასებთ და გავუმარტივებთ მათ საქმიანობას, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, საქართველოს მიერ გაცემულ საბუთებს მეზღვაურები გამოიყენებენ 73 საზღვაო სახელმწიფოში, მათ შორის, 20 ევროკავშირის წევრი ქვეყანა აღიარებს საქართველოს მიერ გაცემულ მეზღვაურთა სერტიფიკატებს.

მთავრობის მეთაურის თქმით, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნული ინფორმაცია საზოგადოებას მთავრობის დღევანდელ სხდომაზე მიაწოდა და განაცხადა, რომ სამუშაოების ბიუჯეტი დაახლოებით 21 მლნ ლარს შეადგენს.

– ქუთაისის ოპერის რეაბილიტაციის პროექტს ვიწყებთ, ქალბატონი თეა იყო ჩასული ქუთაისში, ჯერ კიდევ შარშან დავიწყეთ ამაზე მუშაობა, პროექტი შედგენილია და სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება ქუთაისის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრს, რომლის ბიუჯეტი არის დაახლოებით 21 მლნ ლარი, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერის განცხადებით, საქართველოში 300-მდე კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტი და საკურორტო ადგილი გვაქვს, რომელთა დიდი ნაწილი, უბრალოდ, არ ფუნქციონირებს, 100-ზე მეტი კურორტის არსებული მდგომარეობა და განვითარების პოტენციალი შევისწავლეთ და გასაყიდად გამოვიტანთ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობის ამოცანაა, მაქსიმალურად გამოიყენოს აღნიშნული პოტენციალი.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობამ ბიუჯეტში მინიმუმ 200 მილიონი ლარი ჩადო და ყველაზე პოპულარული საკურორტო ადგილების სრული რეაბილიტაცია-განახლება დაიწყება.

– ჩვენ ბიუჯეტში ჩავდეთ მინიმუმ 200 მილიონი ლარი, დავიწყებთ ყველაზე პოპულარული საკურორტო ადგილების სრულ რეაბილიტაცია-განახლებას, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ლევან ხაბეიშვილი: „სახელისუფლო გუნდის წევრებს აკრძალული აქვთ სამძიმრის თქმაც“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

არსებობის და სიცოცხლის მიზანია საქართველო იყოს თავისუფალი, ერთიანი და მშვიდობიანი. ჩემი მიზანია საქართველომ გაიმარჯვოს მშვიდობისთვის, ჩემი მიზანია დავაფასოთ ომის გმირები იმისათვის, რომ დავაფასოთ მშვიდობა. ჩემი მიზანია ფიზიკურად გადავარჩინოთ რუსულ აგრესიას წინ აღდგომილი პრეზიდენტი სააკაშვილი. ჩვენ, ვერავინ ვიცხოვრებთ ჩვენი ცხოვრებით, ვიდრე პრეზიდენტი სააკაშვილი ციხეში კვდება და საქართველოს ჰყავს მთავრობა, რომელიც შინაგანადაც კი არ გლოვობს საქართველოს თავისუფლებისა და მშვიდობისთვის მებრძოლი ჯარისკაცის დაღუპვას. მინდა ამ ქვეყანაში ვიცხოვროთ თავისუფლად, მშვიდობიანად და გვყავდეს ქართული, ეროვნული ხელისუფლება. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, ეს ჩემი არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ცხოვრების მიზანიც გახლავთ. კარგად უნდა გავიაზროთ, რომ რუსული ოცნების პირობებში მათი მარცხი განხორციელდება მხოლოდ ერთობით, ბრძოლით და მოქმედებით, – აცხადებს ლევან ხაბეიშვილი.

პუბლიცისტი კობა იმედაშვილი გარდაიცვალა

ცნობილი კრიტიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე კობა იმედაშვილი გარდაიცვალა. ინფორმაციას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

– კობა იმედაშვილი არასოდეს ყოფილა მხოლოდ ლიტერატურის სფეროში ჩაკეტილი პიროვნება. ის ყოველთვის მძაფრად განიცდიდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და მათ სახელმწიფო ინტერესების პრიზმაში განიხილავდა.

ცნობილი და მრავლისმთქმელი ფაქტია: როცა ის სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების განყოფილებას ხელმძღვანელობდა, დასახელებულ დარგთა წარმომადგენლები ასე მოიხსენიებდნენ: „ჩვენი კაცი მთავრობაში“...

იგი დიდი იოსებ იმედაშვილის შთამომავალი იყო, რაც მის საქმიანობასა და პიროვნულ კულტურას ტვიფარივით აჩნდა. და ეს გაცილებით მეტია, ვიდრე ბიოგრაფიის აღწერა და წიგნების მშრალი ჩამონათვალი.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო პატივს მიაგებს ბატონი კობა იმედაშვილის ღვაწლსა და სახელს, – აღნიშნულია კულტურის სამინისტროს განცხადებაში.

რატი ბრეგაძე: „სააკაშვილს გარკვეული დიაგნოზები აქვს და შესაბამის მკურნალობას გადის“

– რა პოლიტიკურ ნებაზეა საუბარი, ადამიანი მსჯავრდებულია, ის ამჟამად სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება, კანონით გაუთვალისწინებელი გამონაკლისი ვერავის მიმართ ვერ იქნება დაშვებული, ეს არაკონსტიტუციური იქნება, – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ მიხეილ სააკაშვილის საზღვარგარეთ გადაყვანასთან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც ბრეგაძე განმარტავს, თუკი კანონით გათვალისწინებულ გზებს მიმართავენ და სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ასეთ გადაწყვეტილებას ისინი აღასრულებენ.

ჟურნალისტის კითხვაზე, მოხდა თუ არა ხელისუფლების მხრიდან წითელი ხაზის გადაკვეთა და რატომ არ უმჯობესდება სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, იუსტიციის მინისტრი პასუხობს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არ საუბრობს, ამაზე ექიმებმა უნდა ისაუბრონ, მოამზადონ შესაბამისი დასკვნები.

– თითქოს, მელაპარაკებით მტკიცებულებებით. როგორ შეიძლება თქვენ ისაუბროთ დასკვნაზე, რომელიც ადვოკატის განცხადებით კონფიდენციალურია და მან თავად თქვა, თუკი ვინმეს ეს დასკვნა ჩაუვარდება, ან თუკი, რომელიმე პოლიტიკოსი ამაზე დაიწყებს საუბარს, პროკურატურას უნდა მივმართოთ, რომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრასო და თქვენ როგორ მესაუბრებით ამ დასკვნაზე, საიდან არის ეს დასკვნა თქვენთვის ცნობილი. ახლა გგონიათ რამე განსაკუთრებულ, სენსაციურ კითხვას სვამთ, რას ვერ გპასუხობთ, კითხვას ვერ აყალიბებთ... კითხვას კი არ გიბრუნებთ, კითხვას ვაზუსტებ, თქვენ შეფასებებს აკეთებთ და კითხვას არ სვამთ, თქვენი კითხვა ახლა გაჟღერდა და თქვენ იკითხეთ, გაქვთ თუ არა ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის დიაგნოზების შესახებ, რაზეც გპასუხობთ, ის დიაგნოზები, რომლითაც ის შეყვანილი იყო კლინიკა „ვივამედში“, ბუნებრივია, ეს ინფორმაცია მაქვს, თუმცა, ამ ინფორმაციას თქვენ არ გაგიზიარებთ, არა იმიტომ, რომ ვმალავ, არამედ იმიტომ, რომ ეს არის განსაკუთრებული ხასიათის პერსონალური მონაცემი და თუ უნდა, თავად პაციენტს შეუძლია, ეს ინფორმაცია გააზიაროს. ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს.

როცა ადამიანი საავადმყოფოში იმყოფება, იმიტომ იმყოფება, რომ ესაჭიროება მკურნალობა. ვისაც მკურნალობა ესაჭიროება, მას, ბუნებრივია, გარკვეული დიაგნოზი აქვს, დიაგნოზის გარეშე მკურნალობა არ ხდება, შესაბამისად, რა თქმა უნდა, გარკვეული დიაგნოზები მას აქვს და გადის შესაბამის მკურნალობას. როცა თქვენ შეფასებას აკეთებთ და სვამთ კითხვას იმის შესახებ, გადავკვეთეთ თუ არა წითელი ხაზები, გიპასუხებთ, რომ არავითარი წითელი ხაზი არ გადაკვეთილა და სახელმწიფომ მაქსიმუმი გააკეთა ჯანმრთელობის უფლების უზრუნველსაყოფად...

ეს არის კითხვა, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდება, მე მოკლებული ვარ შესაძლებლობას, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ვილაპარაკო, კონკრეტულად რატომ ვერ უმჯობესდება, ან უმჯობესდება, მე ექიმი არ ვარ, რომ ამაზე გიპასუხოთ, შესაბამისად, არც დასკვნა გამხდარა საჯარო, რომ ამაზე ფართო საზოგადოებამ იმსჯელოს, მე როგორ უნდა გიპასუხოთ? – განაცხადა ბრეგაძემ.

მისივე განმარტებით, მსჯავრდებულის საზღვარგარეთ გადაყვანა ვერ მოხდება, ვიდრე ის თავისუფალი არ იქნება.

– რაც შეეხება იმ საკითხს, იქნება ეს სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაყვანა თუ ნებისმიერი სხვა მიზნით, გპასუხობთ შემდეგნაირად: მსჯავრდებული პატიმარი სასჯელს იხდის საქართველოში არსებულ პენიტენციურ დაწესებულებაში, თუკი, ადამიანი მსჯავრდებული პატიმარი იქნება, ის ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვერ გავა. საქართველოში კონსტიტუცია არსებობს და მათ შორის, კანონის წინაშე თანასწორობა ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა. იმისთვის, რომ ადამიანი საზღვარგარეთ გაყვანილი იყოს, ის ან თავისუფალი უნდა იყოს, ან თუ იხდის სასჯელს, ბოლომდე უნდა მოიხადოს, ან მისი სასჯელი სასამართლოს მიერ გადავადდეს, ან გათავისუფლდეს სასჯელისგან სასამართლოს მიერ, ეს არის ერთადერთი გზა. ამ შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტრომ როგორ უნდა გიპასუხოთ თქვენს დასმულ კითხვაზე წითელი ხაზების გადაკვეთის შესახებ და არსებობს თუ არა პოლიტიკური ნება. რა პოლიტიკურ ნებაზეა საუბარი, ადამიანი მსჯავრდებულია, ის ამჟამად სამკურნალო დაწესებულებაში იმყოფება, კანონით გაუთვალისწინებელი გამონაკლისი ვერავის მიმართ ვერ იქნება დაშვებული, ეს არაკონსტიტუციური იქნება. თუკი კანონით გათვალისწინებულ გზებს მიმართავენ და შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული, ასეთ გადაწყვეტილებებს აღვასრულებთ, – განაცხადა ბრეგაძემ.

ციხეში ყველა სახის პაემანი სრულიად უფასო გახდება, იზრდება სატელეფონო საუბრების რაოდენობა და ხანგრძლივობა

იუსტიციის მინისტრის, რატი ბრეგაძის განცხადებით, ახალი პენიტენციური კოდექსის თანახმად, ციხეში ყველა სახის პაემანი სრულიად უფასო გახდება. ამის შესახებ ბრეგაძემ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, აღნიშნულ კოდექსზე მუშაობა დასრულებულია და ის პარლამენტს უახლოეს პერიოდში წარედგინება.

ბრეგაძის განმარტებით, ამჟამინდელი მდგომარეობით პაემნებისთვის სრულწლოვანი პატიმრები 60 ლარს, არასრულწლოვანი პატიმრები კი 30 ლარს იხდიან, რაც ახალი პენიტენციური კოდექსის თანახმად გაუქმდება.

იუსტიციის მინისტრის განცხადებით, პროექტი აუმჯობესებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელთა შრომით პირობებს და პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირთა უფლებრივი მდგომარეობა გადაჰყავს კიდევ უფრო მეტად მაღალ ხარისხზე.

იუსტიციის მინისტრმა რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას გაუსვა ხაზი: ბრალდებულს მიენიჭება ხანგრძლივი პაემნის უფლება, რომელიც აქამდე არ ჰქონდა; ყველა სახის პაემანი გახდება სრულიად უფასო – დღეს 60 ლარის გადახდა უწევს სრულწლოვან მსჯავრდებულებს, არასრულწლოვნებს კი – 30 ლარის; გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულებისა, ყველას მიენიჭება უმაღლესი განათლების მიღების უფლება და, შესაბამისად, ის ინოვაციური პროექტი, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინ იუსტიციის სამინისტრომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად დაიწყო „ციფრული უნივერსიტეტი“, ხელმისაწვდომი გახდება მსჯავრდებულთა ფართო მასებისთვის; იზრდება სატელეფონო საუბრების რაოდენობა და ხანგრძლივობა, რაც მსჯავრდებულებს გარე სამყაროსთან კომუნიკაციის კიდევ უფრო მეტ საშუალებას მისცემს; გათანაბრდება მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა საცხოვრებელი პირობები, რაც უდავოდ პროგრესული და წინგადადგმული ნაბიჯია; პენიტენციური სამსახურის ყველა დანაყოფს მიენიჭება სპეციალური სტატუსი, რაც თანამშრომელთა პირობებს გაათანაბრებს და გააუმჯობესებს; ფართოვდება სპეციალური წოდების მქონე პირთა წრე და ყველა მოსამსახურე, თანამდებობრივი და წოდებრივი სარგოს გარდა, მიიღებს წელთა ნამსახურობის დანამატს, რაც მათ სახელფასო პირობებზე დადებითად აისახება.

ადვოკატი: „მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ თუ სასამართლო სხდომაზე დასწრებას ვერ შეძლებს, დისტანციურად ჩაერთვება“

მიხეილ სააკაშვილის ინტერესების დამცველის, ილია ლომიას განცხადებით, თუ მიხეილ სააკაშვილი სასამართლო სხდომაზე ფიზიკურად დასწრებას ვერ შეძლებს, ადვოკატები სასამართლოს თხოვნით მიმართავენ, სასამართლო პროცესზე დასწრება დისტანციურად შეძლოს.

– მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ თუ სასამართლო სხდომაზე დასწრებას ვერ შეძლებს, მაშინ დისტანციურად ჩაერთვება. მიხეილ სააკაშვილის სურვილია ფიზიკურად სასამართლო სხდომას დაესწროს. თუ ვერ შეძლებს, ამ შემთხვევაში, ჩვენ, ადვოკატები მივმართავთ თხოვნით, ის დისტანციურად პროცესზე ჩართონ. როგორც მიხეილ სააკაშვილმა განმარტა, მას დიდი სურვილი აქვს, პროცესში მონაწილეობა მიიღოს. ის სასამართლოზე განმარტებებს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გააკეთებს.

თუ როდის გაიმართება სასამართლო პროცესი, დღეს ველოდებით პასუხს. პენიტენციური სამსახურიდან მისი პირადი საქმე და ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტი გამოთხოვილი გვაქვს. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენ სასამართლოს ვთხოვთ, დაჩქარებული წესით დაინიშნოს და განიხილოს აღნიშნული საქმე, – განაცხადა ლომიამ.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც „ვივამედში“ მიხეილ სააკაშვილის მონახულების შემდეგ ილია ლომიამ განაცხადა, საქართველოს მესამე პრეზიდენტს მაღალი ტემპერატურა აქვს.

– ჩვენ სამედიცინო პერსონალს ვთხოვეთ, მისი ამჟამინდელი ტემპერატურა, წნევა და წონა შეემოწმებინა. მას აქვს მაღალი ტემპერატურა – 38. ასევე, მას წნევის დამწევი პრეპარატი მიეცა. გადაადგილება არ შეუძლია და ვერ დგება, – განაცხადა ლომიამ.

საზოგადოება

ექიმი გიორგი გრიგოლია: „სააკაშვილს ნებისმიერი გართულება შეიძლება ჰქონდეს, რეანიმაციის განყოფილება მზად არის“

– ექიმებმა თვითონაც ძალიან კარგად იციან, რომ ასეთ პირობებში მიხეილ სააკაშვილის მთლიანად განკურნება შეუძლებელია, – ამის შესახებ სახალხო დამცველის კონსილიუმის წევრმა, ექიმმა გიორგი გრიგოლიამ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მკურნალ ექიმთან, თამარ დავარაშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, კლინიკა „ვივამედის“ ექიმები აღიარებენ, რომ ბოლო თვენახევარში მდგომარეობა დამძიმდა და 28% წონის კარგვა არის დიდი მაჩვენებელი.

– მე მქონდა პირადად რამდენიმე შეკითხვა, მკურნალი ექიმის აზრი მაინტერესებდა. მთელი ექვსი თვე დაწვრილებით გავიარეთ. დაახლოებით, სექტემბრის ბოლომდე არ იყო გაუარესება – როგორც მაისში შემოვიდა, დაახლოებით ისე იყო. როგორც აღნიშნავენ, ოდნავ გაუმჯობესებაც იყო. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმება მკვეთრად, 7-8 ოქტომბრის შემდეგ დაიწყო. ამ პერიოდში მას სასამართლოსთან დაკავშირებით სტრესი ჰქონდა მიღებული, ამის შემდეგ, დაიწყო სერიოზული წონის კლება, კუნთების განლევა და ანალიზებში ცვლილებები. დაახლოებით 20-25 კილოგრამი აქვს დაკლებული ორი თვის განმავლობაში, ანუ 98-დან 73-მდე, რაც დაახლოებით მისი წონის 28%-ია.

ისინი აღიარებენ, რომ ბოლო თვენახევარში მდგომარეობა დამძიმდა, წონის 28% კარგვა ძალიან დიდი მაჩვენებელია, რადგან ითვლება, რომ კრიტიკული არის 30% და შემდეგ შეიძლება დაიწყოს შეუქცევადი პროცესები.

ყველა ათვითცნობიერებს იმას, რომ მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა ამ ორი თვის განმავლობაში, – დასძინა ექიმმა.

ამასთან, გრიგოლიას თქმით, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის გაუარესება არის სტრესის შედეგი.

„კახექსია“ არის იმ ანორექსიის შედეგი, რომლის დიაგნოზითაც გადმოვიდა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ყველაფერი არის იმ სტრესის შედეგი, რა სტრესშიც იმყოფება. დამატებითი პატარა სტრესი იწვევს დაავადების გაუარესებას. გამოსავალი ექიმების მოსაძებნი არ არის. ექიმების მოვალეობაა, როგორმე სავალალო გართულებები თავიდან აიცილონ.

ჩვენ პრობლემას ვერ ვწყვეტთ – მიხეილ სააკაშვილის ამ მდგომარეობას, რომელიც საწყისად სტრესით დაიწყო და სტრესი არ ლაგდება. ნებისმიერი ის გართულება, რაც მწვავედ შეიძლება დაემართოს, სისხლდენა, ინსულტი ან ინფარქტი იქნება. წონის ვარდნა თუ გაგრძელდა კიდევ, თვენახევრის შემდეგ რესურსები ორგანიზმიდან ამოიწურება და ნებისმიერი გართულება შეიძლება ჰქონდეს. პირველ რიგში, „კახექსიამ“ სისხლდენები იცის. ესენი მზად არიან და რეანიმაციის განყოფილებაც მზად არის.

საკმაოდ ადეკვატურად აფასებს ექიმი მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიც არის. ადეკვატური შეფასება არის ის, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ თავიდან აიცილონ ეს გართულებები, მაგრამ საწყისი და მთელი პრობლემა ამაში არ არის. პრობლემა არის ის, რომ ამ პირობებში კლინიკა „ვივამედს“ არ ვგულისხმობ, ჩვენ ქვეყანაში მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მთლიანად განკურნება შეუძლებელია. იმიტომ, რომ მას აქ დაემართა და აქ მიიღო ეს სტრესი, – განაცხადა გრიგოლიამ.

ლევან დავითაშვილი: „ავტოსადგურები და ავტოსადგომები არც ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს პასუხობს და არც ვიზიტორების“

– ჩვენი ავტოსადგურები და ავტოსადგომები არც ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს პასუხობს და არც ვიზიტორების, – ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ავტოსადგომებთან დაკავშირებული კანონპროექტი, სავარაუდოდ, 2023 წელს იქნება მიღებული.

– ავტოსადგომებთან დაკავშირებით ჩვენ გამზადებული გვაქვს კანონპროექტი, რომელიც პარლამენტს წარედგინება და, შესაბამისად, მოხდება ამ მიმართულების დარეგულირება, რაც ცალსახად მნიშვნელოვანია, რადგან დღევანდელი ავტოსადგომები აბსოლუტურად დერეგულირებულია. შეიძლება ეს კარგი იყოს, მაგრამ ისინი ვერ პასუხობენ იმ მინიმალურ პასუხებს, რასაც ჰქვია ხარისხის, სანიტარული, უსაფრთხოების, თუ მგზავრებზე ზრუნვის სტანდარტები, მათ შორის, მომსახურების ხარისხი, იგივე ბილეთებს გაყიდვის, გრაფიკებთან დაკავშირებით საიმედოობა და ბევრი სხვა რამ. ეს ყველა დეტალი გაწერილია. რამდენიმე კატეგორიის ავტოსადგომი იქნება და საქართველოში მალე მივიღებთ იმ სტანდარტის ავტოსადგომს, როგორიც არის ევროკავშირში. როდესაც ვსაუბრობთ ტურიზმის მნიშვნელობაზე, დამეთანხმებით, რომ არის სფეროები, სადაც აშკარად გვაქვს ჩამორჩენა და მათ შორის, ერთ-ერთი არის ეს – ჩვენი ავტოსადგურები და ავტოსადგომები არც ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს პასუხობს და არც ვიზიტორების, – განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა.

როგორი ამინდია მოსალოდნელი 8 დეკემბრამდე

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, 7-8 დეკემბერს უნალექო ამინდია მოსალოდნელი. ჰაერის ტემპერატურა დღისით დაბლობ რაიონებში +12, +17 გრადუსამდე მოიმატებს. აღმოსავლეთ საქართველოში 8 დეკემბრამდე შენარჩუნებული იქნება ცივი, ღრუბლიანი, ნისლიანი და ზოგან თოვლიანი ამინდი. ჰაერის ტემპერატურა ბარში ღამის საათებში 0, -5, დღისით 0, +5 გრადუსი დაფიქსირდება. 8 დეკემბერს გამოიდარებს, დღის ტემპერატურა +8 გრადუსამდე მოიმატებს. ქ. თბილისში 8 დეკემბრამდე ცივი, ღრუბლიანი და ნისლიანი ამინდია მოსალოდნელი. შესაძლოა მცირე თოვლიც აღინიშნოს. ჰაერის ტემპერატურა ღამის საათებში -1, -3, ხოლო დღის საათებში +3, +5 გრადუსი იქნება.

ვიქტორია ნულანდი კიევში ჩავიდა

რუსეთ-უკრაინის ომი ახალ ფაზაში შევიდა. რუსეთი ბრძოლის ველზე მარცხდება. ეს არა მხოლოდ უკრაინის სამხრეთში (ხერსონი) ჩანს, არამედ დონბასშიც. თვით ბახმუტთანაც კი, რომელიც ფრონტის ურთულეს უბნად ითვლებოდა, რუსები დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ.

მსგავსი სურათია მარინკასთანაც. მართალია, რამდენიმე დღის წინ რუსმა ოკუპანტებმა მარინკის ცენტრი დაიკავეს და იქ რუსული დროშაც აღმართეს, მაგრამ უკრაინელთა ელვისებური კონტრშეტევის შედეგად იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ავდეევკასთან უკრაინელთა კონტრშეტევამ აიძულა ოკუპანტები, გაქცეულიყვნენ.

საინტერესო ვითარება შეიქმნა ლუგანსჩინაზეც. უკრაინულმა არმიამ დაიკავა სტრატეგიული მნიშვნელობის სოფელი იაკოვლევკა. ამან შესაძლებელი გახადა კრემენოესთან ფრონტის ხაზის გარღვევა.

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, სვატოვოსა და კრემენოეს გათავისუფლების პერსპექტივები რეალურია.

ასეთ ფონზე კიევს ეწვია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი. უკრაინის დედაქალაქი ამერიკელ სტუმარს ჩაბნელებული დაუხვდა. განუწყვეტელი დაბომბვების შედეგად კიევსა და სხვა ქალაქებშიც არ არის შუქი. ნულანდმა გამოთქვა ამერიკელთა მხარდაჭერა უკრაინისადმი. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე პირადად შეხვდა პრეზიდენტ ზელენსკის, პრემიერ შმიგალს, ზელენსკის ოფისის ხელმძღვანელს ერმაკს, უკრაინის პარლამენტის სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენლებს. ყველამ ერთხმად დაადასტურა, რომ უკრაინის მომავალი ნატოსა და ევროკავშირშია. ბრძოლაც საბოლოო გამარჯვებამდე გაგრძელდება.

ნულანდმა უკრაინელი ერის ვაჟკაცობისა და თავდადების გამო აღფრთოვანება გამოთქვა. მან ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის პრინციპულმა პოზიციამ, რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება შეუძლებელი გახადა.

– ამ საკითხში მთელმა მსოფლიომ დაგვიჭირა მხარი. რუსეთიც იძულებული გახდა, უკან დაეხია, – თქვა ნულანდმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ხაზი გაუსვა, რომ აშშ უკრაინას ეხმარება და მომავალშიც დაეხმარება. ეს თანაბრად შეეხება როგორც ბრძოლის ველზე რუსი დამპყრობლების დამარცხებას, ისე უკრაინის ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებასაც. ამავე დროს შეკითხვაზე, როდის გაწევრიანდება უკრაინა ნატოსა და ევროკავშირში, ნულანდმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. აშშ-ში მცხოვრები რუსი პოლიტოლოგი ანდრეი პიონტკოვსკი ამას შემდეგნაირად ხსნის: მიმდინარეობს ომი და მის დამთავრებამდე შეუძლებელია უკრაინის ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანების ზუსტი თარიღის დასახელება. ამავე დროს უდავოდ სასიხარულოა, რომ ნულანდი, ისევე როგორც ამერიკელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა, უკვე კატეგორიულად აცხადებს, რომ უკრაინა ნატოსა და ევროკავშირის წევრი აუცილებლად გახდება.

– დღეს უკრაინის ნატოში მიღება ფაქტიურად აშშ-ის რუსეთთან ღია კონფრონტაციას ნიშნავს. ვაშინგტონში ეს არავის სურს, – ამბობს პიონტკოვსკი.

უკრაინისადმი დახმარება გაგრძელდება და გაიზრდება. ნულანდმა ამის თაობაზე ცალსახად განაცხადა. დანარჩენი ბრძოლის ველზე გადაწყდება.



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი რუსეთ-უკრაინის შესაძლო მოლაპარაკებების შესახებ

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლინკენმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინას შორის მოლაპარაკებები ნაკლებ მოსალოდნელია.

– მიზეზი მარტივი და პროზაულია: რუსეთს მსგავსი მოლაპარაკებები არ სურს, – თქვა ბლინკენმა.

აშშ ირანს ხელს შეუშლის

აშშ-ის სპეცწარმომადგენელმა ირანში რობერტ მალიმ განაცხადა, რომ აშშ ირანს ხელს შეუშლის რუსეთისთვის იარაღის მიწოდებაში.

– მოლაპარაკებები ირანთან ბირთვული გარიგების თაობაზე დასრულდა. ამ თემაზე დიალოგს აზრი არა აქვს! ახლა მთავარია, რომ ირანს ხელი შევუშალოთ რუსეთისათვის იარაღის მიწოდებაში, – თქვა მალიმ.

ყველაზე ცხარე ბრძოლები ბახმუტთანაა

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე ცხარე ბრძოლები ბახმუტთანაა.

– ეს ფრონტის ყველაზე ცხელი უბანია, – აცხადებს უკრაინის გენერალური შტაბი.

რუსეთმა ბახმუტთან დიდი ძალები გადაისროლა. მიუხედავად ამისა, ქალაქში შეჭრა ოკუპანტებმა ვერ შეძლეს. ბახმუტის მისადგომებთან მრავალი მებრძოლი დაეცა. მათ შორისაა შვიდი ქართველი მეომარი.

უკრაინელი ექსპერტის, პოლკოვნიკ ოლეგ ჟდანოვის აზრით, ბახმუტისათვის ბრძოლა პასუხს გასცემს ბევრ კითხვას. რუსეთი ყველანაირად ცდილობს დაამტკიცოს, რომ შეტევითი ოპერაციების წარმოება შეუძლია. უკრაინელები პირიქით, მიისწრაფვიან, რომ რუსეთის სამხედრო მანქანას კისერი მოამტვრიონ.

– ბახმუტი მტკიცედ დგას. ოკუპანტები ფართოდ იყენებენ ავიაციას, რაკეტებს, ტანკებს. ბახმუტთანაც ნამდვილი ჯოჯოხეთია, – აცხადებს უკრაინული არმიის გენერალი კრივონოსი.

რუსი ოკუპანტები ბახმუტთან უდიდეს ზარალს განიცდიან. ყოველდღე რუსეთი 50-დან 100 მეომრამდე კარგავს.

ბრძოლები დონბასის დანარჩენ ტერიტორიაზე

დონბასის დანარჩენ ტერიტორიაზეც გააფთრებული ბრძოლებია. ავდეევკასთან უკრაინელებმა წარმატებითი კონტრშეტევები განახორციელეს და აიძულეს რუსები, დაეხიათ უკან. ჩაიშალა ავდეევკის რკალში მოქცევის მცდელობაც.

გაურკვეველი ვითარებაა სოლედართან. რუსი ოკუპანტები ქალაქში შეჭრას ცდილობენ, მაგრამ ამაოდ. ასევე ცხარე ბრძოლებია მარინკასთან. რუსი ოკუპანტები შეეცადნენ მარინკის ცენტრის დაკავებას, მათ ეს ვერ მოახერხეს.

რაც შეეხება ლუგანსკის ოლქს, იქ ინიციატივას უკრაინელები ფლობენ. გრძელდება უკრაინელთა შეტევა კრემენნოე-სვატოვოს მიმართულებით. უკრაინელებმა მოიგერიეს რუსების შეტევა პერვომაისკოეთან. ამ სოფლისგან ფაქტიურად არაფერი დარჩა, მაგრამ მის ნანგრევებზე უკრაინული დროშა ფრიალებს.

თავად სვატოვო-კრემენნოეს მიმართულებით უკრაინელთა კონტრშეტევა გრძელდება. თანახმად აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის დასკვნისა, უახლოეს მომენტში უკრაინელთა კონტრშეტევების ტემპი გაიზრდება.

ბრძოლები უკრაინის სამხრეთში

ბრძოლები უკრაინის სამხრეთ რეგიონშიც არ წყდება. უკრაინული არმია ხერსონის ოლქში დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და იქ უკრაინული დროშა აღმართა. პასუხად ოკუპანტებმა დაბომბეს ხერსონი, ზაპოროჟიე, აგრეთვე დნეპროპეტროვსკის ოლქი.

რუსი ოკუპანტები უდიდეს ზარალს განიცდიან. ნელ-ნელა იქმნება პერსპექტივა იმისა, რომ უკრაინელებმა ზაპორჟიეს ოლქი გაათავისუფლონ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ყალეიდოსკოპი

პატარა გოგონამ ზვიგენის თავდასხმა მოიგერია

ამერიკის ფლორიდის შტატის მკვიდრმა, ათი წლის გოგონამ ჟასმინ კარნიმ ცურვის დროს მოახერხა თავი დაეღწია ზვიგენისგან, რომელიც მას თავს დაესხა.

გოგონა პლაჟზე ბებიასთან და უმცროს ძმასთან ერთად იმყოფებოდა. ის ოკეანეში ბანაობდა, როდესაც ფეხში ზვიგენი ჩააფრინდა.

– მტკივნეული იყო. მას დავარტყი და სასწრაფოდ წყლიდან ამოვედი, – იხსენებს კარნი. გოგონამ ბებიასთან მიირბინა, მან კი მაშველებს უხმო.

გოგონას ფეხზე ქამარი გადაუჭირეს სისხლდენის შესაჩერებლად, რის შემდეგაც შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანეს. კარნის გაუკეთდა ოპერაცია, რომლის დროსაც ფეხზე ღრმა ჭრილობები გაუკერეს. ქირურგი, რომელმაც გოგონას ოპერაცია გაუკეთა, გაკვირვებული დარჩა მისი აუღელვებლობით და დადებითი განწყობით. მისი თქმით, პატარა გოგონას სრულად გამოსაჯანმრთელებლად ორი თვე დასჭირდება.

აგრესიული გოჭი ალკოჰოლიზმისგან განკურნეს

გერმანიაში ვეტერინარებმა ალკოჰოლიზმისგან განკურნეს შინაური გოჭი, სახელად ებეჰარდი.

გოჭი ჭუჭყიან სახლში ცხოვრობდა და მის საკვებს მხოლოდ ჩიპსები და სპირტიანი სასმელები შეადგენდა. მას შემდეგ, რაც ვეტერინარებმა შინაური ცხოველი მის პატრონს ჩამოართვეს, ებეჰარდი ლიპეტალის კომუნაში მდებარე ცხოველთა თავშესაფარში მოხვდა. ვეტერინარებმა მისი ალკოჰოლზე დამოკიდებულებისგან განკურნება მოახერხეს და ჯანმრთელობა აღუდგინეს.

ცხოველის ახალმა პატრონმა ბიანკა დაიხმანმა განაცხადა, რომ ორი წელის ცხოველთა თავშესაფარში გატარების შემდეგ ებეჰარდი სრულად განიკურნა.

– ის დაუჯერებლად აგრესიული, სახიფათო იყო და არაფერი იცოდა გარდა იმ ბინისა, რომელშიც მას აცხოვრებდნენ. აქ კი ის სრულიად მშვიდი და ბედნიერი პატარა გოჭი გახდა, – განაცხადა ბიანკამ.

ორი ქალის გაუპატიურების და მკვლელობის ჩამდენი დამნაშავე 39 წლის შემდეგ დააპატიმრეს

კანადის ქალაქ მუსონის მცხოვრები 61 წლის ჯოზეფ ჯორჯ საზერლენდი, რომელმაც ორი ქალი გააუპატიურა და მოკლა, დანაშაულის ჩადენიდან 39 წლის შემდეგ დააპატიმრეს.

საზერლენდმა დანაშაული 1983 წელს ოთხი თვის ინტერვალით ჩაიდინა. მისი მსხვერპლი გახდნენ მოდელი, 22 წლის ელინ გილმური და ოთხი შვილის დედა, სოცმუშაკი, 45 წლის სიუზენ ტაისი.

2019 წელს დანაშაულის ადგილებიდან აღებული დნმ-ის ნიმუშები ამერიკის ტეხასის შტატის ლაბორატორიაში იქნა გადაგზავნილი. ისინი შეადარეს გენეტიკური ტესტირების ბაზაში ჩატვირთულ ნიმუშებს. პოლიციამ ეჭვმიტანილის გენეალოგიური ხე შეადგინა და მალე საზერლენდს მიაგნო. გამომძიებლებმა საზერლენდს დნმ-ის ანალიზის ჩატარების ორდერი წარუდგინეს. მისი შედეგი დაემთხვა დანაშაულის ადგილიდან აღებული ნიმუშის შედეგებს.

– ამ დღეს თითქმის მთელი ცხოვრება ველოდით. ბოლოს და ბოლოს გავიგებთ ბოროტმოქმედის სახელს და ვნახავთ მის სახეს, – განაცხადა გილმურის ძმამ.

საზერლენდი მიმდინარე წლის 24 ნოემბერს დააპატიმრეს და პირველი ხარისხის სიმძიმის მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. ამჟამად პოლიცია არკვევს, ხომ არ აქვს რაიმე კავშირი მკვლელობაში ბრალდებულ საზერლენდს სხვა, დღემდე გაუხსნელ დანაშაულებებთან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ხელოვანები ქველმოქმედებისთვის სამეფო უბნის თეატრში ერთიანდებიან

სამეფო უბნის თეატრში 6 დეკემბერს საქველმოქმედო აუქციონი გაიმართება, აუქციონს წარუძღვება პოეტი რატი ამაღლობელი, სადაც ქართველი ავტორები გაყიდიან თავიანთ პირად ნივთებს, ხელნაწერებს და წიგნებს ავტოგრაფით.

– აქ შეიძენთ: თამთა მელაშვილის „შაშვი, შაშვი, მაყვალს“ ავტოგრაფითა და კონვერტით, რომელშიც ეთეროს საიდუმლოა მოთავსებული – საიდუმლო, რომელიც მხოლოდ მყიდველს და ავტორს ეცოდინება!

ტორესა მოსის, შოთა იათაშვილის და სხვების ხელნაწერებს.

ცნობილი ფოტოგრაფების – ლევან ხერხეულიძის, გურამ წიბახაშვილის, ნათელა გრიგალაშვილის, დარო სულაკაურის, არჩილ ქიქოძისა და სხვების ნამუშევრებს.

იშვიათ, საკოლექციო ღვინოებს.

შეხვდებით ავტორებს, რომლებიც პირადად გიამბობენ თავიანთი ხელნაწერებისა და ნივთების ისტორიას!

აუქციონი ეწყობა მკურნალობის თანხის შესაგროვებლად ჩვენი კოლეგის და მეგობრისთვის, რომელიც მეოთხე სტადიის სიმსივნეს ებრძვის. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო მისი სახელის საჯაროდ ხსენება არ შეგვიძლია.

აქვე შეძლებთ შეიძინოთ იშვიათი გამოცემები და პრემიალური ღვინოები გიორგი ნათენაძის, მენაბდის მარნის, ბერიშვილების, კომპანია კასრელის და სხვა ქართული მარნებიდან.

აუქციონის დაწყებამდე გაიმართება საქველმოქმედო ფონდის პრეზენტაცია. ფონდი შეიქმნა საგანგებოდ მეოთხე სტადიის სიმსივნის მქონე ხალხისთვის მკურნალობის დასაფინანსებლად და მათთვის ფინანსური ტვირთის შესამსუბუქებლად. ფონდის მიზანია, ქართული ხელოვნების ლიდერობით გადაჭრას პრობლემა, რომელიც სტანჯავს და აღარიბებს პაციენტებს და მათ ოჯახებს. ფონდს წარადგენს მისი ერთ-ერთი დამაარსებელი პაატა ციკოლია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

კავკასიის არყოფნაში დელტამ და კაკტუსმა იხეირეს

კაკტუსი-რუსთავი 77:72
(12:16, 22:15, 24:22, 19:19)

ამ მატჩამდე ორივე გუნდს თითო წაგება ჰქონდა და დაკარგული ქულების მხრივ სუპერლიგის ლიდერებში შედიოდნენ. შესაბამისად, ორივე მათგანისთვის მატჩის შედეგი მნიშვნელოვანი იყო. გამარჯვებული ლიდერებში გაიმაგრებდა პოზიციას, ხოლო დამარცხებულს ცხრილში დაქვეითება ელოდა.

მატჩიც შესაბამისი დაძაბულობით წარიმართა. ორივე გუნდი ბოლომდე იბრძოდა, მეტოქეს წინ გაჭრის საშუალებას არ აძლევდა. ლიდერიც ხშირად შეიცვალა, მაგრამ უმეტესწილად წინ კაკტუსი იყო. ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა და გამარჯვებული კაკტუსი გამოვიდა, რომლის კალათბურთელებმაც ბოლო წამებზე მეტი სიზუსტე გამოავლინეს.

ბოლო წუთი ახალი დაწყებული იყო, ეივერი დიგსმა ორქულიანით ანგარიში რომ გაათანაბრა და ბონუს-საჯარიმოთი რუსთაველები 72:71 დააწინაურა. ამას მოჰყვა რაიან ალენის ორქულიანი და კაკტუსი კვლავ ქულით გადის წინ. საკვანძო მომენტიც აქ გათამაშდა. რუსთაველებმა კომბინაცია კარგად კი გაათამაშეს და ანზორ ნადირაძის პერიმეტრზე მარტო დატოვეს, მაგრამ მისი სამქულიანი მიზანს ასცდა, რასაც რაიან ალენმა 2 ზუსტი საჯარიმოთი მიაყოლა და კაკტუსი 75:72 დააწინაურა.

დარჩენილ 17 წამში რუსთაველებმა ორჯერ ისროლეს სამქულიანი, მაგრამ ვერც ლუკა ბულაშვილის და ვერც რევაზ როგავას სროლამ მიზანს ვერ მიაღწია და შეხვედრა კაკტუსელთა გამარჯვებით 77:72 დასრულდა.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო შედეგი რევაზ ჩაჩანიძემ დააფიქსირა – 18 ქულა. 17 ქულა და 7 პასი რაიან ალენის ანგარიშზეა. ბექა ლომაშვილმა ორმაგი დუბლი – 17 ქულა და 10 მოხსნა გაიფორმა. რუსთაველთაგან 13 ქულით, 11 მოხსნითა და 6 პასით საუკეთესო იყო გუგა პატაშური. 19 ქულა ლუკა ბულაშვილის ანგარიშზეა.

დელტა-ტიტები 83:72
(23:19, 27:14, 19:24, 14:15)

სუპერლიგის წაგებით დამწყები გურჯაანის დელტა ლიდერებში მყარად მკვიდრდება. ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა გუნდმა ეროვნული ჩემპიონატის გახსნითი მატჩი თსუთან დათმო, რის შემდეგაც მიჯრით ხუთი მოიგო. ოლიმპი, ბათუმი, ვერა, მეგა და ახლა ტიტებიც – გურჯაანელებმა ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგეს და რაკი დაუმარცხებელი კავკასია ამ ტურში ისვენებს, სუპერლიგის ცხრილში კაკტუსთან ერთად გალიდერდნენ.

თავის მხრივ, ტიტებისთვის ეს მარცხი ზედიზედ მე-3 აღმოჩნდა და ბესიკ ლეჟავას განწვრთნილი გუნდი ცხრილის ფსკერზე იმყოფება.

დელტასთან მატჩიც ისე დათმო, წარმატების რეალური შანსი არ ჰქონია. მართალია, რამდენიმემატჩიანი არყოფნის შემდეგ ლუკ მოიერი მოედანს დაუბრუნდა, მაგრამ ტრავმის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო კენდრიკ ტომპსონმა, ხოლო ორდანე კანდა თამაშის მსვლელობისას დაშავდა და მოედანზე მხოლოდ 15 წუთი გაატარა. აქვე უნდა აღინიშნოს დელტას დანაკლისი: გურჯაანელებს სასტარტო ხუთეულის 3 კალათბურთელი აკლდათ: ოთარ ფხაკაძე, ლევან მასხულია და გეგი ბაქრაძე. თუმცა, დელტას უფრო დიდი რესურსი აქვს, ვიდრე ტიტებს.

პირველი პერიოდი გურჯაანელებმა 23:19 მოიგეს, მეორეში კი თამაშზე სრული კონტროლი დაამყარეს და დიდი შესვენებისთვის უპირატესობა 17 ქულამდე გაზარდეს. მიუხედავად სოლიდური ჩამორჩენისა, ტიტებმა საქმის გამოსწორება მესამე პერიოდის განახლებისთანავე დაიწყეს და ჩამორჩენა 9 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ წუთშესვენებამ დელტას თამაში ჩვეულ, სტაბილურ კალაპოტში დააბრუნა და გურჯაანელთა უპირატესობა კვლავ 10 ქულას ასცდა. თამაში ისე ჩამთავრდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა. საბოლოოდ გურჯაანელებმა 83:72 მოიგეს.

გამარჯვებულთაგან 26 ქულითა და 7 მოხსნით საუკეთესო იყო რიკარდო ლინჩი. 19 ქულა ეივი ტუმერმა მოაგროვა, ზურა მაჩალაძის ანგარიშზე კი 10 ქულა, 7 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 4 პასი დაგროვდა. ტიტებში 23 ქულით ბომბარდირი გახდა ლუკ მეიერი. რომელმაც 7 პასიც მიითვალა, 18 ქულითა და 6 მოხსნით კი აკაკი ლომოური გამოირჩა.

ოლიმპი-ვერა 84:79
(23:15, 20:23, 18:27, 23:14)

ოლიმპს გამარჯვება დიდ წვალებად და ნერვიულობად დაუჯდა. დავით გასიტაშვილის გაწვრთნილ ვერას მეტი წინდახედულობა რომ გამოეჩინა, ოლიმპს დაამარცხებდა, მაგრამ ის ლიდერობა, რომელსაც მეორე პერიოდში ფლობდა, გაანიავა და ბოლო წუთზე, როცა თამაშის ბედს ერთი სროლა წყვეტდა, აღარ გაუმართლა.

მატჩის დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე ლუკა ზაქრაძის გარღვევით ვერა 79:75 დაწინაურდა, რის შემდეგაც გიორგი ტურძილაძემ სამწამიანი ზონიდან ორჯერ იხეირა და ანგარიში საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე გაათანაბრა. აქ გუნდებმა ორმხრივ შეცდომებს მიჰყვეს ხელი. 1 წუთის განმავლობაში ვერც ერთმა ვერ იხეირა, თუმცა საბოლოოდ დრუ კუქსჰაუსენმა სამქულიანით ოლიმპი 82:79 დააწინაურა.

მომდევნო შეტევაში ვერელმა ჯამირ კოულმენმა სამქულიანით სცადა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ააცილა. ისევ ბურთის დაკარგვები და მატჩის დასრულებამდე 11 წამი დარჩა.

პერიმეტრზე მარტო დარჩენილი მიხეილ ჭოჭუა თანაგუნდელებმა კარგად მოძებნეს, მაგრამ ვეტერანმა კალათბურთელმა, რომელმაც მანამდე 2 ძალიან საჭირო სამიანი მიითვალა, გამთანაბრებელი სროლა საფინალო სირენამდე 6 წამით ადრე ააცილა და ვერელთა იმედებიც აქ დაიფერფლა. ვერელთა მიერ განზრახ აღებული ჯარიმითაც იხეირეს და ოლიმპელებმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს – 84:79.

გამარჯვებულთაგან 26 ქულით დრუ კუქსჰაუსენი გამოირჩა, რომელმაც 14 ცდიდან 7 სამქულიანი ჩააგდო. ლინტონ ესლაისმა 19 ქულა დს 7 მოხსნა მოაგროვა. ვერელთაგან 25 ქულითა და 15 მოხსნით ჯამირ კოულმენი იყო საუკეთესო, ლუკა ზაქრაძემ კი 15 ქულა, 7 მოხსნა და 7 პასი მიითვალა, თუმცა ბურთიც 7-ჯერ დაკარგა.

ქუთაისი-მეგა 82:73
(31:21, 10:16, 13:14, 28:22)

შარშანდელი ჩემპიონი წლევანდელ სეზონში გამარჯვებების რაოდენობით არ გამოირჩევა. ქუთაისური გუნდი სახლში თამაშისას განსაკუთრებულ ატმოსფეროს არ უჩივის, გამონაკლისი არც ეს მატჩი გახლდათ, რომელიც სავსე ტრიბუნების და გულშემატკივართა გამხნევების ფონზე წარიმართა.

რიონისპირელებმა თამაში მონდომებულად დაიწყეს და სწრაფი შეტევის ხარჯზე პირველი მეოთხედში 10 ქულიანი სხვაობით (31:21) გაიმარჯვეს. ამის შემდგომ მეგამ თამაშში დაბრუნება სცადა, ხოლო მასპინძლების მიზანი, თამაშის ბედი პირველივე ნახევარში გადაეწყვიტათ, განზე დარჩა და ისინი შესვენებაზე მხოლოდ 6-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

სიტუაცია დიდად არ შეცვლილა არც მატჩის მესამე პერიოდში, რომელიც კვლავ მეგას გამარჯვებით, მინიმალური, 1 ქულიანი სხვაობით დასრულდა და ბოლო მეოთხედის დაწყებამდე სხვაობა სულ რაღაც 5 ქულას შეადგენდა და სიტუაცია ყოველ წუთს შეიძლებოდა შეცვლილიყო. გამოცდილებისა და სწორი ტაქტიკის ხარჯზე, მასპინძლებმა მეოთხე მეოთხედში 28:22 გაიმარჯვეს და თამაშის საბოლოო ანგარიში 82:73 დააფიქსირეს ტაბლოზე.

ქუთაისელთა რიგებში საუკეთესო შედეგი 17 ქულით ლუკა მაზიაშვილს ჰქონდა. მეგაში კი ლეგიონერ მარკუს გილსონს – 24.

ბათუმი-თსუ 82:80
(14:24, 19:22, 28:17, 21:17)

შეხვედრა მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა. არადა, გამოცდილი და ძლიერი კალათბურთელებით დაკომპლექტებული თსუ, რომლის შემადგენლობაშიც ნაკრების ყველაზე მეტი მოთამაშე ირიცხება, ზედიზედ მეორედ დამარცხდა და მიმდინარე სუპერლიგაში მხოლოდ 2 მოგება აქვს.

შემადგენლობიდან გამომდინარე თსუ სუპერლიგის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება. მიუხედავად მოედნის უპირატესობისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდისგან ლიდერობას ბათუმის წინააღმდეგაც ელოდნენ. მასპინძლებთან დაპირისპირებაში თსუ-მ პირველი ნახევრის მოგება მოახერხა და შესვენებაზე დამაჯერებელი 13-ქულიანი სხვაობით გავიდა. სტუმარი გუნდისთვის პრობლემები მესამე პერიოდიდან დაიწყო, რომელშიც ბათუმმა 11-ქულიანი გაქცევა შემოგვთავაზა და მეოთხედი 28:17 მოიგო, საბოლოოდ კი მეტოქის დამარცხება 2 ქულით, ანგარიშით 82:80 მოახერხა.

თსუ-ელების რიგებში გამორჩეული თამაში ჩაატარა გიორგი ცინცაძემ, რომელმაც თითქმის შეუცვლელად ითამაშა, პარკეტზე 36 წუთი გაატარა და 21 ქულასთან ერთად 13 პასიც მიითვალა. ბათუმელების გამარჯვებაში უდიდესი წვლილი ლეგიონერმა კაილი რიდლიმ შეიტანა, რომელმაც 37 წუთში 30 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი დააგროვა.

სატურნირო ცხრილი:

1.კაკტუსი	6	5	1	474-428	11
2.დელტა	6	5	1	487-448	11
3.კავკასია	5	5	0	430-370	10
4.რუსთავი	5	3	2	408-391	8
5.ოლიმპი	5	3	2	412-403	8
6.თსუ	6	2	4	457-470	8
7.ქუთაისი	5	2	3	409-435	7
8.ბათუმი	5	2	3	411-426	7
9.ვერა	6	1	5	469-496	7
10.მეგა	6	1	5	446-513	7
11.ტიტები	5	1	4	399-422	6

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კიდევ ერთი სუპერჯახი – მეოთხედფინალში ურთიერთობას საფრანგეთი და ინგლისი გაარკვევენ

საფრანგეთი-პოლონეთი 3:1
დოჰა. აღ თუმამა სთედიუმი

1:0 ჟირუ (44), 2:0, 3:0 მბაპე (74, 90), 3:1 ლევანდოვსკი (90ჯ)

საფრანგეთი: ლორისი, კუნდე (დისასი 90), ვარანი, უპამეკანო, ტ.ერნანდესი, ჩუამენი (ფოფანა 66), რაბიო, დემბელე (კომანი 76), გრიზმანი, მბაპე, ჟირუ (ტურამი 76)

პოლონეთი: შჩესნი, კეში, გლიკი, კივიორი (ბედნარეკი 87), ბერეშჩინსკი, კრიხოვიაკი (ბიელიკი 71), კამინსკი (ჟალევსკი 71), ჟელინსკი, შჩიმანსკი (მილიკი 64), ფრანკოვსკი (გროსიჩკი 87), ლევანდოვსკი

საფრანგეთი ტიტულის დაცვისკენ მიიწევს. მოქმედმა მსოფლიოს ჩემპიონმა პოლონეთს იოლად მოუგო.

არადა, სანამ ანგარიში გაიხსნებოდა, ჩესლავ მიხნევიჩის გუნდი უშანსოდ არ იყო, ერთ მომენტში საფრანგეთი გოლს სამჯერ გადაურჩა. თუმცა, სულ ეს იყო და პირველი ტაიმის ბოლოს ყველაფერი ლოგიკურ კალაპოტს დაუბრუნდა.

44-ე წუთზე კილიან მბაპეს შეესანიშნავი პასით ოლივიე ჟირუ მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში გახსნა. ეს ჟიურისთვის 52-ე გოლი იყო საფრანგეთის ნაკრებში და ტიერი ანრის გადასასწრო.

შესვენების შემდეგ ფრანგთა უპირატესობა კიდევ უფრო გაიზარდა და მბაპემ ორჯერ გაიტანა: 74-ე წუთზე ვოიცეხ შჩესნის აჯობა, ხოლო 90-ე წუთზე შორეულ კუთხეში ეფექტური დარტყმით შეაგდო. მბაპეს მიმდინარე მუნდიალზე უკვე 5 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირებში გალიდერდა, ხოლო მთლიანობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე 9 გოლი დაუგროვდა. ფრანგ ფეხბურთელებში მბაპე მხოლოდ ჟუს ფონტენს ჩამორჩება, რომელსაც 13 გოლი აქვს საკუთარ აქტივში, ხოლო შორს არც რეკორდსმენი მიროსლავ კლოზეა, რომლის ანგარიში 16 გოლია. ეჭვგარეშეა, რომ მბაპე ამ რეკორდს კარიერის განმავლობაში შეუტევს.

პოლონეთმა ისღა მოახერხა, რომ ბოლო წუთზე რობერტ ლევანდოვსკიმ პენალტით პრესტიჟის გოლი გაიტანა და საბოლოოდ საფრანგეთმა 3:1 მოიგო.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კილიან მბაპე

ბევრი არჩევანი არ გვქონია. ახალგაზრდა ფრანგმა დუბლთან ერთად საგოლე პასიც შეასრულა. ასეთი თამაშით, 24 წლის მბაპეს შანსი აქვს, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო მეგოლეც გახდეს.

ინგლისი-სენეგალი 3:0
აღ ხორი. აღ ბაით სთედიუმი

1:0 ჰენდერსონი (38), 2:0 კეინი (45), 3:0 საკა (57)

ინგლისი: პიკფორდი, უოკერი, სტოუნსი (დაიერი 76), მაგუაირი, შოუ, ჰენდერსონი (ფილიპსი 82), რაისი, ბელინგემი (მაუნთი 76), საკა (რაშფორდი 65), კეინი, ფოდენი (გრილიში 65)

სენეგალი: ე.მენდი, საბალი, კულიბალი, დიალო, იაკობსი (ბალო-ტურე 85), დიატა (პ.სარი 46), სისი (გეიე 46), ნ.მენდი, ი.სარი, ნდიაიე (დიენგი 46), დია (დიედიუ 72)

გარეთ საუთგეიტის გუნდმა ჯგუფური ეტაპი იოლად დაძლია და არც მერვედფინალში უწვალია. ინგლისმა სენეგალსაც მარტივად აჯობა – 3:0. ყველაფერი პირველი ტაიმის ბოლოს გადაწყდა: ჯერ ჯორდან ჰენდერსონმა ანგარიში გახსნა, რასაც მალევე ჰარი კეინის გოლი მოჰყვა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბუკაიო საკამაც გაიტანა და ყველაფერი ნათელი იყო. მერე ინგლისმა ენერგია დაზოგა, მეტოქეს აღარ უტევდა და მხოლოდ მეოთხედფინალზე ფიქრობდა.

ინგლისის ნაკრების რეალური ძალაც სწორედ მომდევნო მატჩში უნდა გამოჩნდეს. საფრანგეთი-ინგლისის ჯახი 10 დეკემბერს გაიმართება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ფილ ფოდენი

აქ უკვე საქმე ასარჩევად გვქონდა. თუმცა, ფოდენი გამოვარჩიეთ, რომელსაც ბურთი არ გაუტანია, მაგრამ ორჯერ თანაგუნდელებს გაატანინა. პირველ შემთხვევაშიც საგოლე შეტევა მისი წამოწყებული იყო.

სამგლოვიარო განცხადებები

ქალაქ სოხუმის შ. რუსთაველის სახელობის 1-ელი საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან

ბოჩია ბესელიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ეთერ შონიას მეუღლის გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სქელი მურაბა; 2. ფრჩხილების, თმის შესაღები, მოწითალო-ყვითელი საღებავი; 3. წარმატებული საქმის აღსანიშნავად გამართული პურ-მარილი; 4. მუსიკალური გამის პირველი ბგერა; 5. უალკოჰოლო-გამაგრილებელი სასმელი; 6. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 7. საჯარო კამათი მეცნიერულ-ლიტერატურულ თემებზე; 10. ტანსაცმლის მწარმოებელი ესპანური ფირმა; 11. ქალღმერთ ათენას ტაძარი საბერძნეთში; 12. კარსტული მღვიმე იმერეთში; 13. ავტომატურად ჩამრთველ-ამომმრთველი ელექტრონული ხელსაწყო; 16. ეგვიპტის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ფეხბურთელი; 18. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობის ერთ-ერთი მეთოდი; 19. ქართული ცხენოსნური თამაში ბურთით; 21. საქონლის ნაწლავში ჩატენილი, დაკეპილი და შეკმაზული ხორცის პროდუქტი; 24. უნგრული ღვინო.

თარაზულად: 1. ქურციკის თურქული სახელწოდება; 3. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 8. თაფლიანი ფიჭა; 9. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 14. მუზეუმი მილანში; 15. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 17. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი ლითონი; 20. ქართველი კინორეჟისორი; 22. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 23. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 25. იაპონელი მევიოლინე ქალი; 26. სოფელთა სახელწოდება ჩრდილოეთ კავკასიაში; 27. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 28. ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პობედა; 2. წეკო; 3. შარლატანი; 4. დგუში; 5. მამფალი; 8. ნაგანი; 9. კონტრაქტი; 12. წულაძე; 14. ოაზისი; 16. იტილი.

თარაზულად: 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბიონიკა; 9. კიოლნი; 10. რიწა; 11. იავნანა; 13. აზოტი; 15. მუჯირი; 17. ყირმიზი; 18. რატილი; 19. პლისკა; 20. სიმინდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლუტი; 2. არა; 3. კავასაკი; 4. კუ; 5. რიგოლეტო; 6. წეკო; 7. შავთელი; 10. ფსოუ; 11. შოტლანდია; 12. ბალაგანი; 13. დუყი; 16. კრეოლი; 18. ჰოკაიდო; 19. ასორტი; 21. თერგი; 24. ლახტი.

თარაზულად: 1. ლამარია; 3. კოდაკი; 8. რივერა; 9. ტუფი; 14. ლორია; 15. ლუგელა; 17. ლიმა; 20. კვართი; 22. ტროპი; 23. სიგელი; 25. ურო; 26. ოქრო; 27. ხადა; 28. ხაბიზგინა.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

6 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6987	ევრო — 2.8431
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3048	100 რუსული რუბლი — 4.3353

ამინდის პროგნოზი 6 დეკემბრისათვის



ინგლისის ნაკრები მეოთხედფინალში საფრანგეთს დაუპირისპირდება

ინგლისმა მერვედფინალში სენეგალი დაამარცხა 3:1 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ისინი საფრანგეთს დაუპირისპირდებიან. საფრანგეთმა, თავის მხრივ, პოლონეთი დაამარცხა. ინგლისმა შეხვედრა არცთუ კარგად დაიწყო და პირველ გოლამდე მათ თითქმის არ ჰქონდათ მომენტები, მაგრამ საბოლოოდ ინგლისელებმა საწადელს მიაღწიეს. საფრანგეთთან მეოთხედფინალი 10 დეკემბერს გაიმართება.

ვან გაალი: „არგენტინის დამარცხება შეგვიძლია“

ჰოლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუი ვან გაალმა არგენტინასთან შეხვედრაზე ილაპარაკა და თქვა, რომ მის ნაკრებს შეუძლია არგენტინელების დამარცხება. ვან გაალის თქმით, არგენტინას აქვს სუსტი წერტილები და მათ გამოყენება სჭირდება: „ჩემი ნაკრების მჯერა და ვიცი, რომ ჩვენ შეგვიძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა. არგენტინა ძლიერი გუნდია, რომელთანაც რთული შეხვედრა გველის“.

მბაპე: „ბედნიერი ვარ, რომ გუნდს გამარჯვებაში დავეხმარე“

საფრანგეთის ნაკრებმა მერვედფინალში პოლონეთი დაამარცხა 3:1 და შეხვედრაში ორი გოლი კილიან მბაპეს ანგარიშზეა. მბაპემ მატჩის შემდეგ თქვა, რომ მისთვის მთავარი გუნდის გამარჯვებაა და არა ინდივიდუალური მიღწევები: „პოლონეთთან რთული მატჩი გვქონდა და მიხარია, რომ ეს ბარიერი დავძლიეთ. ჩემი ქვეყნისთვის მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და ეს არ შეიცვლება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ოთარ მელვინეთუხუცესის 90 წლის იუბილე ფილმების რეტროსპექტივით აღინიშნა

ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდარული მსახიობის ოთარ მელვინეთუხუცესის 90 წლის იუბილე ეროვნულმა კინოცენტრმა მისი ფილმების რეტროსპექტივით აღნიშნა.

ეროვნული არქივის კინოდარბაზში მსახიობის მონაწილეობით გადაღებული ფილმები აჩვენეს.

ფილმების აღდგენაზე მუშაობა 6 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. სხვადასხვა რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმები ციფრულ ფორმატში გადაიტანეს.

რეტროსპექტივა გაიხსნა ფილმით „დიდოსტატის მარჯვენა“, რომლის რეჟისორებიც ვახტანგ ტაბლიაშვილი და დევი აბაშიძე არიან.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი



6 დეკემბრისათვის

ვერძი – დღეს სამოგზაუროდ ნუ წახვალთ. ნებისმიერი ვოიაჟით უკმაყოფილო დარჩებით. სიზმარი, სავარაუდოდ, წინასწარმეტყველური იქნება. ** კურო** – სოციალურ სფეროში ფართო პერსპექტივები ჩნდება. კეთილისმყოფელი დღეა სამომავლო გეგმების შესამუშავებლად. **ტყუპები** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაუყოვნებლივ დაიწყეთ. მამაკაცები ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** – დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფერო. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **ლომი** – ცვლილებების დროა. ელოდეთ როგორც პოზიტივს, ისე – ნეგატივს. ნუ იაქტიურებთ. **ქალწული** – პასიური დღეა. ნუ გარისკავთ, განსაკუთრებით – ფინანსური კუთხით. **სასწორი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტი იღბლიანია. გელით რომანტიკული შეხვედრა. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში უფრო დამთმობი და მოსიყვარულე უნდა იყოთ. თქვენს მდგომარეობას ბოროტად ნუ გამოიყენებთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ზუსტად იმ ნივთს შეიძენთ, რომელიც ძალიან გამოგადგებათ. **თხის რქა** – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად არაკეთილისმყოფელი პერიოდია. **მერწყული** – ხელმძღვანელობა თქვენი მუშაობით კმაყოფილია. ნუ მოდუნდებით. ქებამ არ გაწყინოთ. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ და ძალები აღიდგინეთ. ოჯახის წევრებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ამ დღეებში მაღაზიები შემოვიარე, მინდოდა საახალწლოდ საჩუქრები შემერჩია...

– მერე შეარჩიე რამე?

– ალბათ შვილისთვის იმის თქმა მომიწევს, რომ თოვლის პაპა მკვდარია.

●●●

ქალი ტელეფონზე რეკავს:

– ალო! გივი, საყვარელო, უკვე გავიღვიძე, შენ კი ჩემ გვერდით აღარ ხარ... სად ხარ ჩემო სიცოცხლევ?

– ქალო, სად ხარ, შე დედა... სად გაგეღვიძა?!!!

●●●

აფთიაქში მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:

– გოგონი, ერთი აბი მინდა.

– რომელი?

– თეთრი.

– ეს აფთიაქია და უამრავი თეთრი აბი გვაქვს...

– ჰოდა, ერთი ცალი მომეცით.

●●●

ორი დაქალი ერთდროულად გათხოვდა. ერთი თვის შემდეგ ერთი მეორეს ურეკავს და მოკითხვის შემდეგ ეუბნება:

– იცი, ჩემს ქმარს პირდაპირ ოქროს ხელები აქვს, ყველაფერს აკეთებს. ახლახან სამზარეულოში ონკანი გაფუჭდა და საკუთარი ხელით 5 წუთში შეაკეთა.

– მე კი დღემდე არ ვიცი, სად გვაქვს სამზარეულო...

●●●

ფეხბურთის მწვრთნელი სპორტულ მაღაზიაში შედის და გამყიდველებს ეუბნება:

– ჩემი გუნდი ჩემპიონატისთვის ემზადება და მინდა, თქვენთან შევიძინო კალათბურთის ბურთები, ციგურები, ჰოკეის ჯოხები, ჩოგნები, ბეისბოლის ჯოხები...

– კი მაგრამ, რისი გუნდი გყავთ?

– აი, მეც სწორედ მაგის გაგება მინდა, რას თამაშობენ...

●●●

მანიაკი ლიფტში შევარდა და ქალს უყვირის:

– უნდა გაგაუპატიურო!

– მადლობა ღმერთს, თორემ მეგონა, რომ ისევ უნდა გავეძარცვე!

●●●

ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაღლილი ქმარი ცოლს ეუბნება:

– კარგი, ისე იყოს, როგორც შენ გსურს...

– უკვე გვიანია, გადავიფიქრე!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გიორგი კელაპტრიშვილი ბიჭის მამა გახდა

მუსიკალური შოუს „მხოლოდ ქართულის“ მეორე სეზონის გამარჯვებული გიორგი კელაპტრიშვილი ბიჭის მამა გახდა.

პატარა ავთოსთან ერთად მომღერალმა ფოტოები სოციალურ ქსელში განთავსა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. გიორგის ათასობით მსმენელმა და გულშემატკივარმა მამა-შვილს ყველაფერი საუკეთესო უსურვა.

ქართული დელეგაცია „საბავშვო ევროვიზია 2022“-ზე გაემგზავრა

„საბავშვო ევროვიზია 2022“ წელს სომხეთში ტარდება. კონკურსი 11 დეკემბერს გაიმართება. ქართული დელეგაცია ევროფესტივალზე უკვე გაემგზავრა.

წელს საბავშვო ევროვიზია იუბილარია – მას დაარსებიდან 20 წელი უსრულდება და საიუბილეო ფორმატში კონკურსანტების გარდა, სხვადასხვა სტუმრებსაც ეპატიჟება. მათ შორის არის 2008 წლის საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული ჯგუფი „ბზიკები“. საბავშვო ევროვიზიის 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ისინი მაყურებლის წინაშე კვლავ წარდგებიან გამარჯვების მომტანი სიმღერით „ბზზზ“.

საქართველოს წლევანდელ კონკურსზე „რანინას“ მეხუთე სეზონის გამარჯვებული მარიამ ბიგვავა წარადგენს სიმღერით „მე მჯერა“, რომლის ავტორიც კომპოზიტორი გიგა კუხიანიძეა. ტექსტზე მუშაობდნენ ბენი ქადაგიძე და ირუ ხეჩანოვი, კლიპის რეჟისორია ზაზა ორაშვილია, მხატვარი – შაკო პოპიაშვილი, დიზაინერი კი იზა ნადარეიშვილი. მარიამთან ერთად სცენაზე ცეკვის საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული 4 მოცეკვავე – ბარბარე წვერავა, ლიზა კვირკველია, სესილი ახობაძე და თიკუნა ჩხეიძე იდგებიან. მარიამისა და მოცეკვავე გოგონების ქორეოგრაფიაზე გიორგი ტორიაშვილმა იმუშავა.

ვოკალის პედაგოგის მაკა დავითაიას თქმით, მარიამს აქვს აბსოლუტური მზაობა, რომ სომხეთში საქართველო უმაღლეს დონეზე წარადგინოს.

რიგით მეოცე „საბავშვო ევროვიზიაში“ წელს 16 ქვეყანა მონაწილეობს. მუსიკალური კონკურსის პირდაპირი ტრანსლაცია საქართველოს პირველი არხის ეთერით გაიმართება.

„საბავშვო ევროვიზიის“ არსებობის განმავლობაში ეს კონკურსი საქართველომ სამჯერ მოიგო. პირველი გამარჯვება ჯგუფმა „ბზიკები“ მოგვიტანა, მეორე – ჯგუფმა „ქენდიმ“, ხოლო მესამე – მარიამ მამადაშვილმა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, წლევანდელ საბავშვო ევროვიზიაზე სამივე გამარჯვებული მონაწილე წარდგება.

გია კაჭარავას ფილმი იტალიაში დააჯილდოვეს

რეჟისორ გია კაჭარავას ფილმი „ბალანსი ანუ ჩაო ჯორდანო“ მილანის საერთაშორისო კინოფესტივალზე ჟიურის სპეციალური დიპლომით დააჯილდოვეს:

– ჩვენმა ფილმმა, „ბალანსი ანუ ჩაო ჯორდანო“ – იტალიური ვერსია „ვოლარე ო ნონ ვოლარე“ – მილანის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ფელიქსი“ ჟიურის სპეციალური დიპლომი მოიპოვა.

ეს ფილმი 2013 წელს გადავიღეთ. რა თქმა უნდა, კინოცენტრის დაფინანსების გარეშე. არც ფესტივალზე გაუგზავნიათ არც ერთხელ, მაგრამ 9 წლის მერეც იღებს პრიზებს.

„ვიღაცას“ ხომ გაეხარდება? ჰოდა, მათთვის ვაქვეყნებთ!

კოტე მარჯანიშვილზე აღმოჩენილ უნიკალურ კადრებს კინოაკადემიის დარბაზში აჩვენებენ

რეჟისორ კოტე მარჯანიშვილზე აღმოჩენილ უნიკალურ კადრებს საქართველოს კინოკადემიის „ლურჯ კინოდარბაზში“ 8 დეკემბერს აჩვენებენ:

– ქართული დოკუმენტური კინოს უნიკალური კადრები! 8 დეკემბერს საქართველოს კინოკადემიის „ლურჯ კინოდარბაზში“, გიჩვენებთ საქართველოს სტუდია „მემატიანე“-ს საცავში, სტუდიის დირექტორის რევაზ მახათაძის მიერ აღმოჩენილ, 1933 წელს, კინოფირზე გადაღებულ უნიკალურ მასალას – დიდი ქართველი რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის დაკრძალვის უნიკალურ კადრებს! მოხდა, ამ ძველი კინოფირის აღდგენა და გაციფვრა საქართველოს ეროვნულ არქივში გიორგი კაკაბაძის მიერ.

უამრავ ხალხს შორის, რომელიც დაკრძალვას ესწრებოდა, ამოცნობილია 1937 წლის ტერორისას დახვრეტილი ქართველი ხელოვანები და მწერლები: სანდრო ახმეტელი, პეტრე ოცხელი, პაოლო იაშვილი...

სწორედ ამ უნიკალური, 20-წუთიანი კინოფირის ჩვენებაზე გეპატიჟებით! გთხოვთ მობრძანდეთ! დასწრება თავისუფალია. განსაკუთრებით ველით მუზეუმების, თეატრების, მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირის, თეატრის მოღვაწეთა კავშირის წევრებს, რამეთუ გვჯერა, რომ ამ კინოფირზე კიდევ სხვა ხელოვანების, საზოგადო მოღვაწეების ამოცნობაა შესაძლებელი – ნათქვამია საქართველოს კინოაკადემიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ১

შვეულად: 1. გარეული მტრედი; 2. ნავსადგური საქართველოში; 3. კლიმატური კურორტი დუშეთის რაიონში; 4. ქართული საქველმოქმედო ფონდი; 5. ერთ-ერთი პირველი ქართული როკ-ჯგუფი; 8. წყალზე ტივტივა ყვავილოვანი მცენარე; 9. ლექსის, ლიტერატურული ნაწარმოების გამომხატველობითი კითხვა; 12. ფულის გამოძალვა დანაშაულებრივი გზით; 14. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 16. კოლხეთის მითოლოგიური მეფე.

თარაზულად: 1. საღებავი ნივთიერება, რომელიც მწვანე ფერს აძლევს მცენარის ფოთლებს; 6. ქართული მარიონეტული თეატრის დამფუძნებელი; 7. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის არსებული ისტორიული ქართული კუთხე; 9. ფულის ერთეული ავსტრალიაში; 10. საფრანგეთის კოსმოდრომი სამხრეთ ამერიკაში; 11. მარმარილოს ნატეხებით ან ფერადი კენჭებით შექმნილი ნახატი ან ორნამენტი; 13. მცენარეთა სამყარო; 15. მართლმსაჯულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 17. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 18. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. პურეული მცენარე; 20. ივნისის თვის ქართული სახელწოდება.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა